

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

მაუწყებლების თოქშოუების წინასაარჩევნო  
მედია მონიტორინგი

ანგარიში

(31 აგვისტო- 25 სექტემბერი)



თბილისი, 2016

## პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში სატელევიზიო არხების მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორები აკვირდებიან 11 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუებს. მონიტორინგი ხორციელდებოდა შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი, რუსთავი 2, იმედი, მესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25

ანგარიში მოიცავს 31 აგვისტო - 25 სექტემბრის პერიოდს.

## მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ:

- პრეზიდენტი
- მთავრობა
- პოლიტიკური პარტიები

მონიტორები აკვირდებოდნენ როგორ ჩანდნენ კვლევის სუბიექტები გადაცემებში. თითოეულ თოქშოუს აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

არის თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შესაბამისია მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემასთან, სტუმრების შერჩევასა ხომ არ ჩანს მიკერძოება, როგორ მიმდინარეობს მსჯელობა, რამდენად კარგად მართავს დისკუსიას წამყვანი, როგორია მისი კითხვები, არის თუ არა მომზადებული, აძლევს თუ არა ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას სტუმრებს, გადაცემა ხომ არ არის გამოყენებული სიძულვილის ენის გასავრცელებლად.

საერთო ჯამში იღებს თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

## ტენდენციები

- გასულ სამონიტორინგო პერიოდთან შედარებით გაიზარდა იმ გადაცემების რიცხვი, სადაც საარჩევნო თემებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად განიხილავდნენ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გადაცემა „ინტერვიუ“ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, რომლის წამყვანი უყურადღებოდ არ ტოვებს რესპონდენტის მხრიდან გაჟღერებულ ინფორმაციას და მაყურებელს აძლევს შესაძლებლობას გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი. ასევე, ტელეკომპანიის “რუსთავი 2” გადაცემის “არჩევანი 2016” მესამე ნაწილი, სადაც დისკუსია მიმდინარეობს კონკრეტულ თემატიკაზე.
- ასეთი პოზიტიური მაგალითების მიუხედავად, პოლიტიკური პროგრამების ღრმა, საგნობრივი დებატები ზოგადად იშვიათად იმართებოდა ქართულ ტელევიზორებში. წამყვანები ხშირად პოლიტიკოსებს მონოლოგის რეჟიმში პრეზენტაციის საშუალებას აძლევდნენ. ნაცვლად კრიტიკული კითხვების დასმისა და იმის ჩვენებისა, თუ რამდენად აქვთ მათ ჩამოყალიბებული ხედვა ამა თუ იმ საკითხზე და რამდენად რეალურია მათი დაპირებები, წამყვანები საარჩევნო სუბიექტებს ტრიბუნას უთმობდნენ მათთვის სასურველ თემაზე სასაუბროდ. თითოეული კანდიდატისთვის მხოლოდ თანაბარი საეთერო დროის დათმობა და ერთი და იგივე კითხვის დასმა შესაძლოა არ ნიშნავდეს საარჩევნო თემატიკის კვალიფიციურ გაშუქებას და მაყურებლის გაცილებით უკეთესად ინფორმირებას.
- წამყვანები ხშირად სვამდნენ ისეთ კითხვებს, როგორცაა ვინ არის თქვენი კონკურენტი? რა იქნება თქვენი მაქსიმუმი არჩევნებზე? რამდენი ადამიანის შეყვანას გეგმავთ პარლამენტში? - ამგვარი ზოგადი კითხვები რესპონდენტს საშუალებას აძლევს ისაუბროს მისთვის სასურველ ჭრილში.
- კვლავაც პრობლემად რჩება კრიტიკული კითხვების ნაკლებობა, წამყვანების დიდი ნაწილის მოუმზადებლობა, აქედან გამომდინარე სადისკუსიო თემის ზედაპირული განხილვა.
- რამდენიმე გადაცემაში გაუგებარი დარჩა სტუდიაში მოწვეული მაჟორიტარობის კანდიდატებისა და ოლქების შერჩევის კრიტერიუმები. მაგალითად, „ბარიერში“ სხვადასხვა დროს მოწვეულები იყვნენ მაჟორიტარი კანდიდატები გლდანის მე-20 (22.09), ნაძალადევის მე-19 (20.09), ისნის მე-9 (14.09) და მე-10 საარჩევნო ოლქებიდან. რატომ გაკეთდა არჩევანი მაინცადამაინც ამ ოლქებზე უცნობი დარჩა.
- რიგ ეროვნული მაუწყებლების ეთერში ბევრი დრო დაეთმო კონკრეტული ოლქის კანდიდატებს, რომლებიც იმ რეგიონისა თუ უბნის პრობლემებზე საუბრობდნენ, სადაც კენჭს იყრიან. ამგვარ ვიწრო პრობლემატიკაზე საუბარი მაჟორიტარ კანდიდატთან, შესაძლოა უინტერესო იყოს ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობისთვის.

თანაც იმ პირობებში, რომ კანდიდატები საუბრობდნენ ხშირ შემთხვევაში პირად მოსაზრებებზე და არა პარტიების ხედვებზე, გადაცემაში კი პარტიის ლიდერები არ იღებდნენ მონაწილეობას.

- წამყვანები კითხვის ფორმულირებისას ზოგჯერ ერთმანეთში ურევდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მაჟორიტარი კანდიდატის კომპეტენციებს. იგივე პრობლემა შეინიშნებოდა თავად მაჟორიტარი კანდიდატების მხრიდანაც, რაც საბოლოო ჯამში ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანას უწყობს ხელს.
- წინა სამონიტორინგო პერიოდისგან განსხვავებით წამყვანები უმეტეს შემთხვევაში აუდიტორიას აწვდიდნენ ინფორმაციას, თუ რომელიმე პირმა სტუდიაში მისვლაზე უარი განაცხადა.
- მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა რაიმე კონკრეტული ფაქტი, „მაესტრო“ „იმედი“ და „GDS“ ხშირად ინტერესდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან „მოსალოდნელი დესტაბილიზაციით“ და დიდ დროს უთმობდა ამ საკითხის განხილვას.
- „ობიექტივის“ გადაცემა „ღამის სტუდია“ კვლავაც „პატრიოტთა ალიანსის“ ტრიბუნად რჩება, სადაც ისინი პრაქტიკულად ყველა გადაცემაში საუბრობენ და ეწვეიან აგიტაციას. წამყვანებიც ღიად გამოხატავენ მათ მხარდაჭერას. წინა სამონიტორინგო პერიოდთან შედარებით, სექტემბერში უფრო მეტად ისმოდა ანტითურქული რიტორიკა, შედარებით შემცირებული იყო წამყვანების მხრიდან რუსული პროპაგანდისტული მესიჯები, ვინაიდან წამყვანის პოზიცია დატოვა ვალერი კვარაცხელიამ, „სოციალისტური პარტიის“ ლიდერმა, რომელიც ღიად პრორუსულ მოწოდებებს აჟღერებდა ეთერში გასულ წინა სამონიტორინგო პერიოდში.
- სექტემბერშიც დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც წამყვანებმა ვერ მოახერხეს დისკუსიის მართვა და სტუმრებმა ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

## “საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი”

ტელეკომპანიის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ შემდეგ გადაცემებს: „მთავარი“ (ორშაბათი, ოთხშაბათი 21:30), „ინტერვიუ“ (სამშაბათი, ხუთშაბათი 21:30) და „რეალური სივრცე“ (პარასკევი 21:30).

გასული სამონიტორინგო პერიოდთან შედარებით გააქტიურდა საარჩევნო თემატიკა, გადაცემების რაოდენობა შეიცვალა და საარჩევნო სუბიექტები უფრო ხშირად საუბრობდნენ საკუთარი ხედვების შესახებ.

### თოქშოუ „მთავარი“

გადაცემა „მთავარის“ ფორმატის მიხედვით გადაცემაში ერთი პოლიტიკური პარტია მონაწილეობს. დასაწყისში მომზადებულია მოკლე კოლაჟი, რომელიც პარტიის ისტორიას

ასახავს, რაც მაყურებელს შესაძლებლობას აძლევს გადაავლოს თვალი მათ მოღვაწეობას. გადაცემის ძირითად ნაწილში კი მაყურებელს პარტიის პროგრამას აცნობენ. ჟურნალისტი სვამს კითხვებს იმისათვის, რომ პოლიტიკოსებმა თავიანთი პროგრამის პრიორიტეტებზე შეძლონ საუბარი, წამყვანი ნაკლებად განსაზღვრავს დღის წესრიგს. თითქმის არ არის წარმოდგენილი პროგრამის ანალიზი, ან ისმევა კრიტიკული კითხვები. თითოეულ პარტიას ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი სურვილისამებრ წარადგინოს თავი.

მაგალითად [7 სექტემბრის გადაცემა](#) “თავისუფალი დემოკრატებს” და მათ პროგრამას მიეძღვნა. მიუხედავად ამისა, წამყვანმა თავადვე აღნიშნა, რომ მათი პროგრამა წაკითხული არ ჰქონდა.

“მე სამწუხაროდ პროგრამა არ მაქვს წაკითხული, თქვენი მაგრამ მაქვს ის კლიპი ნანახი თუ რას ჰპირდება - ანუ ეს არის პენსიის გაზრდა, ეს არის 4 მილიარდით გაზრდა ბიუჯეტის და ეს არის საკანონმდებლო დონეზე მინიმალური ხელფასის განსაზღვრა 500 ლარი. ინვესტორები ახსენა ბატონმა ირაკლიმ და იმ კლიპშიც არის, რომ შიდა და გარე ინვესტიციების ასე ვთქვათ უნდა მოხდეს. პენსიები ძალიან ისეთი, სერიოზული თემაა, როგორ ხდება ანუ, რამდენად გათვლილია იმიტომ რომ სულ მესმის რომ ეს არის პოპულიზმი” - მიმართა მან პარტიის წევრს დავით ონოფრიშვილს.

წამყვანი შემოიფარგლებოდა შემდეგი კითხვებით: თუ როგორ ხედავენ განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გზებს პარტიები და რამდენად რეალურია მათი დაპირებები? უფრო ღრმად წამყვანის კითხვები და გადაცემა არ წასულა. რეალურად გაუგებარი რჩებოდა ამომრჩევლისთვის რამდენად განხორციელებადია პარტიების დაპირებები.

იყო შემთხვევები, როდესაც კითხვის ფორმულირებაში წამყვანის შეფასება ჩანდა დასაბუთების გარეშე. მაგალითად 7 სექტემბერს კითხვა ასე დასვა:

“გამომიება და საერთოდ, პროკურატურა ცუდად მუშაობს? რა უნდა გაკეთდეს, რომ პროკურატურა იყოს პროკურატურა? პროკურატურამ გამოიძიოს საქმეები, არ ემსახურებოდეს რაღაცა შეკვეთებს, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს?” კითხვიდან უკვე ჩანს წამყვანის შეფასება, რომ პროკურატურა დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს, ჟურნალისტს კონკრეტული მაგალითები არ დაუსახელებია და გაუგებარი დარჩა რას ეყრდნობოდა შეფასებისას.

იყო შემთხვევა, როდესაც წამყვანს შეეძლო დამატებითი კითხვა დაესვა რესპოდენტისთვის ან პასუხი მოეთხოვა მისი წარსული საქმიანობის გამო, თუმცა მან ეს არ გააკეთა.

7 სექტემბერს განათლების პროგრამაზე ისაუბრა ალუდა გოგლიჩიძემ, რომელიც 8 თვის განმავლობაში განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის მოადგილე იყო. თამარ ჩიქოვანმა

მას არ ჰკითხა, თუ რა ინიციატივები გამოიჩინა მინისტრის მოადგილედ მუშაობისას, რა გააკეთა, ან რა ვერ გააკეთა. წამყვანს შეეძლო თავიდანვე მოეძიებინა გოგლიჩიძის მოადგილეობისას სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და აქედან გამომდინარე დაესვა კითხვები.

[21 სექტემბრის](#) გადაცემაში დავით ბაქრაძე საუბრობდა ბიზნესის ფინანსური წნეხიდან გათავისუფლების აუცილებლობაზე და მას წამყვანმა არ შეახსენა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის მიმართ გარკვეული ბიზნესმენების ბრალდებები ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული წნეხის შესახებ. როგორც ცნობილია, საგამომიებო მოქმედებების შემდეგ რამდენიმე ბიზნესმენს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს წართმეული ქონება დაუბრუნდა. წამყვანს შეეძლო ამ საკითხზე აპელირებით წარსული შეცდომები შეეხსენებინა და მათი გამოსწორების გზებზე ესაუბრათ.

ამასთან იყო ფაქტი, როდესაც გადაცემის სტუმრებმა ანტიდასავლური განწყობები და თურქეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოავლინეს. [19 სექტემბერს](#), მაშინ, როდესაც თოფაძე-მრეწველები, ჩემი სამშობლო იყო მიწვეული ეთერში, წამყვანმა სტუმრებს საშუალება მისცა მაცურებელი შეცდომაში შეეყვანათ, ამასთან დაენერგათ ანტიდასავლური განწყობები. მაგალითად გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ უცხოელ მრეწველებს საქართველოს დანგრევა უნდათ და მუდამ უჭირინებენ ქართველ ხალხს, რომ არ განავითარონ მრეწველობა. წამყვანმა არც კი შეუსწორა სტუმარს ეს განცხადება და არ დააზუსტებინა, კონკრეტულად ვის, ან რას გულისხმობდა.

წამყვანმა ასევე უყურადღებოდ დატოვა ზვიად ჩიტიშვილის ნეგატიური ფრაზა თურქების მიმართ. ჩიტიშვილმა თქვა: “თურქებს შემოაქვთ ცუდი პროდუქცია და აქედან იღებენ კაი კარტოფილს და მიაქვთ, გააქვთ იქითკენ”.

### გადაცემა „ინტერვიუ“

წინასაარჩევნო პერიოდში გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან ინტერვიუებს. საანგარიშო პერიოდში ეთერში გავიდა ხუთი გადაცემა. შესაბამისად, გადაცემებში ვიხილეთ ხუთი პოლიტიკური გაერთიანების ლიდერებთან ინტერვიუები, ესენია: ელენე ხოშტარია (ენმ), თამარ ჩუგოშვილი (ქართული ოცნება), დავით უსუფაშვილი (რესპუბლიკური პარტია), ნინო ბურჯანაძე (ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა), ირმა ინაშვილი (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი). საანგარიშო პერიოდში ეთერში არ გასულა 22 სექტემბრის გადაცემა, გადაცემისთვის გამოყოფილი საეთერო დრო მაუწყებელმა დაუთმო “თავისუფალი დემოკრატების” საარჩევნო პროგრამის პირდაპირ ეთერში გაშუქებას.

გადაცემა არის Hardtalk-ის მსგავსი ფორმატის, ითვალისწინებს ჟურნალისტიკისა და რესპონდენტის ერთი-ერთზე სიღრმისეულ ინტერვიუს და რაც მოითხოვს ჟურნალისტიკის მხრიდან შერჩეული რესპონდენტის ხედვების, მისი საქმიანობის შესახებ სიღრმისეულ ცოდნას, საარქივო მასალების ანალიზს, კონკრეტული დოკუმენტების შესახებ ინფორმირებულობას, კარგად გააზრებული ღია და დახურული შეკითხვების დასმის ხელოვნებას და ა.შ. ამ თვისებებს საკმაოდ კარგად ფლობს სალომე ასათიანი, რაც ეტყობა მის მიერ მომზადებულ შეკითხვებს, საარქივო მასალებსა და პაექრობას რესპონდენტთან. ჟურნალისტი ყოველთვის ზუსტად ციტირებს დოკუმენტებს, სვამს კონკრეტულ და კვალიფიციურ შეკითხვებს, უყურადღებოდ არ ტოვებს რესპონდენტის მხრიდან გაჟღერებულ თითქმის არც ერთ ცრუ ინფორმაციას, ან დემაგოგიას, რაც მაყურებელს აძლევს შესაძლებლობას გაცილებით უკეთ შეიცნოს კონკრეტული რესპონდენტი, მისი საქმიანობა, მისი ხედვები აქტუალურ საკითხებზე. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში, რათა მოქალაქეებმა გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი.

ერთადერთი ხარვეზი საანგარიშო პერიოდში შესამჩნევი იყო 13 სექტემბერს, როდესაც ეთერში გავიდა [ინტერვიუ დავით უსუფაშვილთან](#), რესპონდენტს არ მიეცა მოსაზრებების ბოლომდე გამოთქმის საშუალება. წამყვანის მიერ უკანონო მოსმენების საკითხზე დასმული შეკითხვა პასუხის გარეშე დარჩა, ვინაიდან ჟურნალისტიკმა დაასრულა გადაცემა.

### თიქშოუ „რეალური სივრცე“

ფორმატის მიხედვით, კითხვებს სვამენ ამომრჩევლები სხვადასხვა სოფლებიდან და პასუხობენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები სხვადასხვა პარტიებიდან. შერჩევა, თუ რომელი რეგიონიდან დასმულ კითხვებს რომელი პარტიის წევრები უპასუხებენ, წყდება წილისყრით, რაც გამორიცხავს მიკერძოებას ჟურნალისტიკის მხრიდან.

ჟურნალისტი არის არბიტრი, რომელიც იცავს თამაშის წესებს - თითქმის არ სვამს კითხვებს და არ ირჩევს რესპოდენტებს. სტუმარს სასაუბროდ მიცემული აქვს წუთნახევარი, მიკროფონი გამოირთვება დროის ამოწურვისთანავე.

ყველა პოლიტიკურ პარტიას თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა აზრი გამოხატოს იმ პრობლემებზე, რომლებიც ამომრჩევლებს ყველაზე მეტად აწუხებს. მოსახლეობის მიერ დასმული კითხვები არის ძალიან საინტერესო, აქტუალური და კრიტიკული.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უაღრესად მწვავე და საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ ხშირ შემთხვევაში კანდიდატებს დრო არ ჰყოფნით. ფორმატი არ ითვალისწინებს დროს შეკამათებისთვის. ამიტომ მაყურებელს უჭირს გაარკვიოს ვისი პოზიცია უფრო სწორია. ეს ფორმატი გულისხმობს, რომ მაყურებელს თვითონ უნდა ჰქონდეს კომპეტენცია და შეაფასოს რამდენად განხორციელებადი და მიღწევადია ის დაპირებები, რომლებსაც ეს კანდიდატები

უხვად გასცემენ. დაპირებების რეალურობის გარკვევის გარეშე ამომრჩეველს გაუჭირდება გააზრებული არჩევანის გაკეთება, რაც ამ გადაცემის მთავარია მიზანია და რასაც წამყვანი ყოველ გადაცემაში უსვამს ხაზს.

მაგალითად, ერთ-ერთი კანდიდატი ამბობს, რომ ენგურს კალაპოტი უნდა შეეცვალოს (2.09). მაყურებლისთვის გაუგებარი რჩება ეს კარგი ინიციატივაა თუ არა.

**9 სექტემბრის** გადაცემაში ყველა კანდიდატი თანახმაა, რომ ჭიათურელ მეშახტეებს მოეხსნას საშემოსავლო გადასახადი - როგორ? რის ხარჯზე? რა თანხაზეა საუბარი? არავინ არ იცის თუმცა წამყვანი არ ეძიება, ფორმატი არ აძლევს საშუალებას.

გადაცემა გადის მთელი საქართველოს მასშტაბით, მაშინ როცა მაჟორიტარ კანდიდატებს შორის არჩევანს მხოლოდ ერთი ოლქი აკეთებს. გადაცემას პარტიული ლიდერები არ ესწრებიან, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს დისკუსიას.

იშვიათ შემთხვევაში მაჟორიტარი კანდიდატის მიმართ ისმევა კითხვები, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება. მაგალითად, 9 სექტემბერს კანდიდატებს შემდეგ საკითხებზე მოუხდათ პასუხის გაცემა:

- ხონის რაიონის სოფლებში კინჩხაში, რონდიში ადგილობრივი და სახლამდე მისასვლელი გზა არ არის
- სოფელ ფლავში და ფლავისმანის კულტურის სახლი არ არსებობს და ქუჩასა და ეზოებში ატარებენ ღონისძიებებს
- ჭიათურაში წყალი არ არის
- სოფელ ყუმურში (ვანი) არ არის ბიბლიოთეკა
- წეროვანში არ არის საბავშვო ბაღი.

ყველა ეს პრობლემა ძალიან ირიბად შეიძლება დაუკავშირო მაჟორიტარების საქმიანობას თუ დაუკონკრეტებ მათ, რომ დაუჭერენ თუ არა თვითმმართველობის გაძლიერებას და ხელისუფლების დეცენტრალიზაციას მხარს. მაგრამ ჟურნალისტს ეს არცერთხელ არ მიუნიშნებია.

## ტელეკომპანია „რუსთავი 2“

აღნიშნულ ტელეკომპანიაზე მონიტორინგი მიმდინარეობდა გადაცემაზე „არჩევანი 2016“, რომელიც კვირაში ორჯერ გადის ეთერში. „რუსთავი 2-ზე“ ასევე დაკვირვების ქვეშ იყო „შაბათის კურიერის“ ის ნაწილი, სადაც წამყვანი სტუმრებთან ერთად განიხილავს თემას.

### გადაცემა „არჩევანი 2016“



გადაცემა ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში საშუალება აქვს მოწვეულ პარტიას პრეზენტაცია გააკეთოს. საკმარისი დრო ეძლევა პარტიას რომ თუ საკუთარი სათქმელი ამომრჩევლამდე მიიტანოს. წამყვანი მხოლოდ კითხულობს თუ რატომ უნდა მისცეთ ხმა მათ მოსახლეობამ. პროგრამის განხილვაში წამყვანი ამ ნაწილში არ შედის.

მეორე ნაწილში, სადაც ჟურნალისტები უსვამენ პარტიას კითხვას, არ ხდება დაპირებების შეფასება და მაცურებლისთვის იმის ჩვენება, თუ რამდენად შესრულებადი და რეალურია პარტიის ხედვა. ნაცვლად ამისა, სვამენ კითხვებს პარტიების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ არჩევნების წინ პასუხი მოეთხოვოთ მათი კონკრეტული პოზიციის, განცხადებების, ახლო წარსულში მათ მიერ უკვე გაწეული საქმიანობის გამო. თუმცა, საანგარიშო პერიოდში ლიდერებთან დისკუსიისას ამ ნაწილში დიდი აქცენტი გაკეთდა ბიძინა ივანიშვილთან და “ქართულ ოცნებასთან” სხვა პარტიების თანამშრომლობის შესაძლებლობაზე.

საინტერესო და წინასაარჩევნოდ საჭირო დისკუსია იმართებოდა რეგიონულ პრობლემებზე. აჩვენებდნენ ვიდეოს, სადაც წარმოჩენილია პრობლემა და შემდეგ ამ სიუჟეტიდან გამომდინარე წამყვანი სვამდა კითხვას, რომელსაც 5-6 პარტიის წარმომადგენლები პასუხობენ.

იყო შემთხვევა, როდესაც სტუდიაში მოწვეული სტუმრებისადმი უმთავრესად თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული კითხვა დაისვა. მაგალითად [12 სექტემბერს](#), როდესაც გადაცემის თემა იმერეთის პრობლემები იყო კონკრეტული პრობლემის ამსახველი ვიდეო მასალის ეთერში გაშვების შემდეგ წამყვანმა თქვა:

«დამეთანხმებით, რომ ამათ [მოსახლეობას] ვერაფრით დააჯერებთ, რომ მათ სახელმწიფო არ უნდა ეხმარებოდეს, როდესაც ისინი ასეთ გასაჭირში ცხოვრობდნენ, მით უმეტეს თუ მათ ჰქონდათ სოციალური დახმარება და შემდეგ ეს დახმარება მოეხსნათ. რატომ? ეს კითხვა რჩება და ეს კითხვა აქვს მათ თქვენთან, დავიწყოთ ლეიბორისტებით. უნდა ჰქონდეთ თუ არა ამ ადამიანებს სოციალური დახმარება?»

ამ კითხვით წამყვანი მიმართავს მაჟორიტარობის კანდიდატებს, არადა, ისინი ვერ იქნებიან ამ კითხვის ადრესატები, რადგან მათ არ მიუღიათ ეს გადაწყვეტილება. უმჯობესი იყო წაყვანს განეზოგადებინა საკითხი და მაგალითად, ეკითხა მხარს დაუჭერდნენ თუ არა სოციალური ხარჯების გაზრდას პარლამენტში?

კიდევ ერთი კითხვა ასეთი ფორმულირებით დაისვა:

«სამწუხაროდ 21 საუკუნეში გვიწევს ამ პრობლემებზე საუბარი - კანალიზაცია და წყალმომარაგება. როგორ აპირებთ თქვენ ამ პრობლემის მოგვარებას.»

ჟურნალისტს უნდა სცოდნოდა, რომ წყლისა და კანალიზაციის პრობლემის მოგვარება მთლიანად ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გადასაწყვეტია. შესაძლოა ამ ფონზე წამოწეულიყო დეცენტრალიზაციის პრობლემა და ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის მეტი გადასახადის დატოვების პრობლემა მაგრამ ეს ასპექტი გადაცემაში არ წამოწეულა.

გამორჩეულია გადაცემის მესამე ნაწილი, სადაც პარტიის ლიდერებს შორის დისკუსია მიმდინარეობს კონკრეტულ თემატიკაზე, მაგალითად, ადამიანის უფლებები და სასამართლო სისტემა, ჯანდაცვა და აშ. მოწვეული სტუმრები ძირითად შემთხვევაში იყვნენ კომპეტენტურნი, ამიტომ მათი პასუხები იყო საინტერესო. ყველა მათგანი აღწერდა კონკრეტული რეფორმის საჭიროებას, თითქმის ყველა ეტეოდა დროში. მაყურებელი იღებდა განხილულ სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ მაქსიმალურ ინფორმაციას და საშუალება ჰქონდა შეედარებინა ერთმანეთისთვის პარტიების პოზიციები და პრობლემის გადაწყვეტის გზები.

საინტერესო იყო რეგიონული ჟურნალისტების ჩართულობით გაკეთებული დისკუსიები რეგიონის პრობლემებზე. ისინი უფრო კარგად იცნობენ ადგილობრივ საჭიროებებს, ხელისუფლებას ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდებიან. ამიტომ მათი დაპატიჟება დისკუსიის რეგიონულ ნაწილს ხდის უფრო მწვავეს და საინტერესოს. მაყურებელი იღებს უფრო მეტ ინფორმაციას, ვიდრე მათი ჩართულობის გარეშე მიიღებდა.

### გადაცემა „შაბათის კურიერი“

გადაცემა ყოველ შაბათს გადის ეთერში. მისი ერთი ნაწილი მიმდინარე ამბების შესახებ სიუჟეტებს ეთმობა, მეორე ნაწილი კი, სტუმრებთან საუბარს. მონიტორინგის პერიოდში გადაცემაში მონაწილეობდნენ ძირითადად შემდეგი პარტიის წარმომადგენლები - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“, „თავისუფალი დემოკრატები“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ლეიბორისტული პარტია“.

ჟურნალისტი უმეტეს შემთხვევაში იყო მომზადებული: წარსულ დაპირებებს ახსენებდა სტუმრებს, მოჰყავდა ციტატები. გადაცემა აქტიური და დინამიკური იყო. როცა რესპონდენტები სხვა კანდიდატების ლანძღვას იწყებენ და სხვა საკითხებზე გადადიოდნენ, წამყვანი ცდილობდა მათ სადისკუსიო თემასთან დაბრუნებას. რესპონდენტებს კითხვებისგან თავის არიდების საშუალებას არ აძლევდა, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც.

[17 სექტემბერს](#), როდესაც უკანონო მოსმენებისა და კრიმინალის თემას განიხილავდნენ, წამყვანი პოლიტიკოსებთან ინტერვიუების განმავლობაში თითქმის არც ერთი დამაზუსტებელი კითხვა არ დაუსვამს. ყველა სტუმარს მხოლოდ 2 კითხვას უსვამდა: ფარული ჩანაწერებზე პასუხიმგებლობის და კრიმინალის ზრდის შესახებ. რესპონდენტებს

არც მაშინ სთხოვდა ფაქტების დაზუსტებას, როცა ოპონენტებს მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ. მაგალითად, ნიკა მელია (ენმ) კახი კალაძის (ქართული ოცნება)შესახებ ამბობს:

“განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ და განსაკუთრებით კახი კალაძეს, კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობა აქვს გაღრმავებული და კულუარულ პროცესებში ჰყავს ჩართული კრიმინალები”

“კახი კალაძემ არაერთი კრიმინალური ავტორიტეტი წინასაარჩევნოდ, განსაკუთრებით რამდენიმე თვის წინ ჩამოიყვანა და ყველამ ვიცით, ვინ ჩამოიყვანა და როგორ ჩამოიყვანა და ბევრს გავიგებთ კიდევ და გადაბარებული ჰქონდა მღებრიშვილისგან და ივანიშვილისგან ქუჩის მართვა და პატრონაჟის ქვეშ აიყვანა ქუჩა. გაექცა მართვის სადავეები კახი კალაძეს და სასაკლავო მოაწყო ქუჩაში ვიხილეთ ჩვენ რაც მოხდა ვაკეში ხო? ეს ყველაფერი არის დიახ კახი კალაძის სინდისზე და ნამუსზე”.

წამყვანს არ უკითხავს როგორ ადასტურებდა ამ ინფორმაციას ნიკა მელია, რას ეყრდნობოდა, არსებობდა თუ არა მტკიცებულება ან რა რომელ კრიმინალურ ავტორიტეტებზე აქვს საუბარი. უფრო მეტიც, ნიკა მელია 6 წუთი და 41 წამის განმავლობაში ისე ლაპარაკობდა, რომ წამყვანმა არც ერთხელ არ შეაწყვეტინა საუბარი.

აღსანიშნავია, რომ ამ გადაცემაში წამყვანმა გააკეთა განმარტება რომ „ქართულმა ოცნებამ“ უარი განაცხადა გადაცემაში მონაწილეობაზე.

[10 სექტემბერს](#) “სახელმწიფო ხალხისთვის” პარტიიდან მოწვეულ სტუმარს, ირაკლი ყიფიანს გიორგი გაბუნიაშვილმა ჰკითხა მათ კოალიციაში შემავალი პარტიის, “გირჩის” წევრის, ვახტანგ მეგრელიშვილის განცხადების შესახებ, რომლის მიხედვითაც „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციას არ გამოირიცხავს. რესპონდენტი ამბობს და ხსნის, რომ თემატურ ურთიერთობაზე იყო საუბარი და განცხადება კონტექსტიდანაა ამოგლეჯილი. ამის შემდეგ წამყვანმა მეგრელიშვილის ზუსტი ციტატა წაუკითხა. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტი იმავს პასუხობდა, კიდევ რამდენჯერმე ჰკითხა ქართულ ოცნებასთან მოსალოდნელი კოალიციის შესახებ. საბოლოოდ რესპონდენტმა უპასუხა: “მალიან კარგი იქნებოდა ვახტანგ მეგრელიშვილი მოგეწვიათ მაშინ სტუდიაში და თავიდან მიცემოდა საშუალება განემარტა ის, რაც თქვა”.

ჯამში რესპონდენტი მოწვეული ჰყავდა დაახლოებით 15:30 წუთი განმავლობაში და 6:30 წუთი ვახტანგ მეგრელიშვილის პოზიციის გარკვევას შეეცადა. თუ ვახტანგ მეგრელიშვილის ციტატა ასეთი მნიშვნელოვანი იყო, ალბათ მისი ჩაწერა უფრო მართებული იქნებოდა, ვიდრე ამდენი დროის დაკარგვა პარტიის სხვა წევრთან იმის გარკვევაში, თუ რა იგულისხმებდა მეგრელიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ყიფიანმა უარყო შესაძლო თანამშრომლობა “ქართულ ოცნებასთან”, წამყვანი შემდეგ ჩართვებში, სხვა პარტიებს მაინც ეკითხებოდა:

“ვისთან შეიძლება ითანამშრომლოთ პარლამენტში. შეიძლება „გირჩის“ მსგავსად თქვენც განიხილოთ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიცია?”

ზოგჯერ წამყვანი იყენებდა ცინიკურ გამონათქვამებს განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილის მიმართ:

“ამდენი წყევლა-კრულვის შემდეგ, ბოლოს ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკელები მაინც დალოცა. მაგრამ ესეც თავისებურად გააკეთა. მან ამისთვის უკვე არა ილია ჭავჭავაძე, არამედ საბჭოთა ფილმი “კავკასიელი ტყვე ქალი” მოიშველია. მე პირადად ამ დალოცვაში ვერაფერი გავიგე სიმართლეს გეტყვით. ალბათ, იმიტომ რომ ამ ფილმის სახელიც კი მაღიზიანებს და “კავკასიელი ტყვე ქალის” ყურებაზეც კი ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ფილმი მე არასდროს მინახავს და იქნებ, თქვენ მაინც მიხვდეთ რისი თქმა უნდოდა ბიძინა ივანიშვილს.“

“სიმართლე გითხრათ, მე წარმოდგენაც არ მინდა რას უზამს ბიძინა ივანიშვილი დავით ნარმანიას რამე რომ იყოს და ის ამოიღოს სამიზნეში. მიზეზი ძალიან ბევრი ექნება და საბაბი“

## ტელეკომპანია „იმედი“

გასულ სამონიტორინგო პერიოდში არსებული თოქშოუები - „პოლიტიკა“ და „ქრონიკის სტუდია“ დაიხურა და სექტემბრიდან დაიწყო ახალი - “ღია ეთერი”, შესაბამისად ტელეკომპანია იმედის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ამ გადაცემას, რომელიც კვირაში ორჯერ - ოთხშაბათსა და პარასკევს გადიოდა.

### თოქშოუ „ღია ეთერი“

პოლიტიკური პარტიებიდან გადაცემაში, ძირითადად, მონაწილეობენ შემდეგი პარტიების წარმომადგენლები: ქართული ოცნება, ენმ, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკური პარტია, პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის, პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიცია, ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა.

სამი გადაცემა მიედევნა კონკრეტული საარჩევნო ოლქების (მთაწმინდა, ისანი, გორი) მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს შორის დებატებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჟურნალისტი იყო მოუმზადებელი, შეკითხვები იყო ძალიან ზოგადი, ისინი არ ემსახურებოდა კანდიდატების ან მათი პროგრამების უკეთ გაცნობას, არ ყოფილა მათ შორის კონკრეტულ საკითხებზე თემატური დებატები. შესაბამისად, მაყურებელმა ვერ მიიღო

კონკრეტულ პრობლემატურ საკითხებზე კანდიდატების ხედვები, ვერ გაიგო კანდიდატების პროგრამები, თუ რამდენად რეალისტურია ისინი.

ის, რომ ერთი და იგივე შეკითხვა დაუსვა თითოეულ კანდიდატს და თანაბარი საეთერო დრო დაეთმო მათ პასუხებს, არ ნიშნავს საარჩევნო თემატიკის კვალიფიციურ გაშუქებას, ვინაიდან ეს არ ემსახურება მაყურებლის უკეთესად ინფორმირებას და ძირითადად ემსახურება ისევ და ისევ კანდიდატების მესიჯების, მათ შორის, არარეალისტური დაპირებების უპრობლემოდ ტირაჟირებას.

რამდენიმე გადაცემაში ჟურნალისტს ჰქონდა თემატური დებატების ორგანიზების მცდელობა (სასამართლო რეფორმა, დესტაბილიზაციის საფრთხე, 26 მაისის საქმე), თუმცა ამ შემთხვევაშიც ჟურნალისტის მხრიდან არ იყო გამოვლენილი სათანადო ცოდნა საკითხთან მიმართებაში, რაც გამომდინარეობდა მისი მხრიდან დასმული ზედაპირული შეკითხვებით.

მაგალითად, ერთ-ერთი გადაცემა დაეთმო დებატებს ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის, თემაზე – დესტაბილიზაციის საფრთხე (16.09). გადაცემის თემა გამომდინარეობდა ზეპირი განცხადებებიდან, რომელიც გააკეთეს „ქართული ოცნების“ და ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ ასეთი საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს ენმ–დან. კონკრეტული ფაქტები ამ განცხადებების ავტორებს არ წარმოუდგენიათ, მათი ნაწილი ამბობდა, რომ ეს განცხადებები იყო პრევენციული ხასიათის, თუმცა ამის შემდეგ მოსალოდნელ საფრთხეზე განმარტებები გააკეთეს შს მინისტრმა და პრემიერმინისტრმა. მაგრამ განცხადებებს არც ამ შემთხვევაში მოჰყოლია კონკრეტიკა.

დებატების ორგანიზება ემსახურებოდა იმის გარკვევას, გეგმავდა თუ არა მართლაც ენმ დესტაბილიზაციას. დებატებში მონაწილე მხარეები ერთმანეთს უსვამდნენ კითხვებს, რომლებიც რჩებოდა კითხვებად და ურთიერთბრალდებებად, საუბარია, უკანონო მოსმენების გამოძიების საკითხზე, კორცხელის ინციდენტზე და ა.შ. ჟურნალისტი თითქმის არ სვამდა დამატებით შეკითხვებს ამ საკითხებზე, ის უბრალოდ რესპონდენტებს სთხოვდა ერთმანეთის ბრალდებებზე პასუხის გაცემას. შედეგად მაყურებელმა ვერ გაიგო რა მტკიცებულებებს ეფუძნება ხელისუფლების განცხადებები მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე ენმ–ს მხრიდან? რამდენად რეალისტურია ეს მტკიცებულებები? არის თუ არა ეს მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ტაქტიკა? და საბოლოო ჯამში, შესაბამისად ჩნდება ლოგიკური კითხვა – საერთოდ რას ან ვის ემსახურებოდა ამ თემაზე გადაცემის მომზადება და დებატების ორგანიზება? იყო თუ არა ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებში?

რამდენიმე გადაცემაში, (5.09, 23.09) დებატები გახდა უმართავი, ვინაიდან სტუმრები ერთდროულად საუბრობდნენ და ჟურნალისტი ვერ ახერხებდა ვითარების განმუხტვას, რაც

საბოლოო ჯამში აზარალებდა მაყურებელს, რომელიც ვერ იღებს კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციას.

რამდენიმე გადაცემაში, ჟურნალისტმა შემოგვთავაზა ინტერვიუები პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან ([კახა კალაძე](#), [ნინო ბურჯანაძე](#), [პაატა ბურჭულაძე](#)), თუმცა ამ შემთხვევაშიც ჟურნალისტმა რესპონდენტებს მისცა იმის შესაძლებლობა, რომ დაუბრკოლებლად გაეგრცელებინათ მხოლოდ მათთვის სასურველი ინფორმაცია ან მიემართათ დემაგოგიისთვის, ვინაიდან ჟურნალისტის მხრიდან არ ყოფილა მათთან ჩაკითხვა, დოკუმენტებისა და ფაქტების მეშვეობით რეალური ფაქტების ჩვენება და ა.შ.

მაგალითად, კახი კალაძის მიმართ დასმული კითხვები ასეთი იყო:

- წარმატების შემთხვევაში დაუბრუნდებით თუ არა თქვენს სფეროს ენერგეტიკის სამინისტროს?
- რას გააკეთებს თქვენი გუნდი?
- რას პირდება მოსახლეობას ქართული ოცნება?

წაკითხა ირაკლი ოქრუაშვილის, დაკავებული გიორგი ფეიქრიშვილის ცოლის და ნიკა მელიას განცხადებების კახი კალაძის შესახებ, მის მიმართ ბრალდებებზე და შეკითხვა ჩამოაყალიბა ასე: „მოდით, ახლა მივყვეთ თანმიმდევრობით, რა აერთიანებს ამ ადამიანებს – კახი კალაძე თუ ნაციონალური მოძრაობა?“

წამყვანს რესპონდენტებთან ადეკვატური ოპონირება არ გაუწევია.

## ტელეკომპანია GDS

ტელეკომპანია GDS-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემა „2030“-ის იმ ნაწილს, სადაც სტუმრებთან ერთად თოქშოუს ფორმატში განიხილავენ სხვადასხვა თემას. აგრეთვე გადაცემას „59 წამი“, ყოველ კვირას 21:00 საათზე

### გადაცემა „2030“

გადაცემა „2030“ ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, საინფორმაციო გამოშვების ბოლო ნაწილში მოწვეულ სტუმრებთან ერთად განიხილავდა სხვადასხვა საკითხს. ეთერში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები ჩანდნენ, თუმცა სექტემბრის პერიოდში სტუმრად მოწვეული იყო ქართული ოცნების 10 წარმომადგენელი, მაშინ როდესაც სხვა პარტიებიდან 3-ზე მეტ სტუმარს არ მიუღია მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით წინა პერიოდისგან, წამყვანი საზოგადოებას ამცნობდა თუ რომელიმე სტუმარი ეთერში არ მივიდა. მან არაერთხელ განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობა არხს ბოიკოტს უცხადებს.

პოლიტიკური პარტიების წევრებთან საუბრისას ძირითადად დრო ეთმობოდა ბიძინა ივანიშვილის განცხადებების განხილვას, ასევე არაერთ სტუმართან ერთად განიხილეს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიასა და „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერის პაატა ბურჭულაძის ფარული ჩანაწერის შინაარსი, აქცენტი კეთდებოდა არა ჩანაწერის გამოქვეყნებაზე, არამედ იმაზე, თუ “რატომ აძლევს თავს უფლებას კერძო ტელევიზიის დირექტორი პოლიტიკური ძალის ლიდერს ულტიმატუმი წაუყენოს”

წამყვანი სტუმრებთან პირისპირ ინტერვიუს ფორმატს არჩევდა, მხოლოდ ერთხელ, [21 სექტემბერს](#) სტუდიაში ერთდროულად ისხდნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, თუმცა, მათ საარჩევნო პროგრამის ნაცვლად პროკურატურის მიერ 2011 წლის 26 მაისს მიტინგის დარბევის კადრების გამოქვეყნებაზე ისაუბრეს და შეაფასეს საარჩევნო გარემო.

აღსანიშნავია, რომ წამყვანი არ გამოირჩეოდა კრიტიკული კითხვებით. სტუმრებს ეძლეოდათ საკუთარი მოსაზრებების ფართოდ გადმოცემის საშუალება, მაგალითად [20 სექტემბერს](#) „ქართული ოცნების“ წევრ ეკა ბესელიასთან 26 მაისის თემაზე საუბრისას ბესელიამ აღნიშნა, რომ დამნაშავეები დასჯილები არიან 81 ადამიანს წაყენებული აქვს ბრალი, “200-ზე მეტი ეპიზოდი სასამართლომ მიიჩნია, რომ იყო ძალიან მძიმე ბრალდებების შემცველი”. წამყვანი არ ეკითხება 81 ადამიანს კონკრეტულად 26 მაისის საქმეზე აქვს წაყენებული თუ არა ბრალი, კონკრეტულად ამ საქმეზე ვინ მიეცა პასუხისმგებლობა, გარდა ამისა, არ დაინტერესებულა რა გაირკვა საბოლოოდ ამავე აქციისას ორი ადამიანის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, რაც პოლიტიკური სპეკულაციის თემა იყო. იმ პერიოდში [2011 წელს] ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ისინი აქციის დაშლის დროს ელ. გადამცემის შეხების შედეგად არ გარდაცვლილან, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებდა. ეს ფაქტი 26 მაისის საქმის მნიშვნელოვანი დეტალია, თუმცა დღემდე ბუნდოვანია, რა მოხდა.

სხვა სტუმრებისგან განსხვავებული იყო გადაცემის „2030“ წამყვანის საუბარი „რესპუბლიკური პარტიის“ მაჟორიტარობის კანდიდატ [თამარ კორძაიასთან](#) (16.09) და „ეროვნული ფორუმის“ ლიდერ [გუბაზ საინიკიძესთან](#), (19.09), რომელთაც ფაქტობრივად არ ასრულებინებდა მოსაზრებებს, აძლევდა დამატებით შეკითხვებს. ორივე მათგანს ბიძინა ივანიშვილის განცხადებებზე აპასუხებინა. თამარ კორძაიას ფაქტობრივად, მთელი გადაცემა სხვების განცხადებების ანალიზი უწევდა, მაგალითად წამყვანმა თანაპარტიელის თინა ხიდაშელის შეფასების შეფასება მოსთხოვა საარჩევნო გარემოზე, რის საპასუხოდაც კორძაიამ უპასუხა “თუ ჩემი შეფასება გაინტერესებთ წინასაარჩევნო გარემოზე მე შეგიფასებთ, დანარჩენი იქნებ თავად თინას დააზუსტებინოთ... მე მეგონა, რომ ჩემი შეფასება გაინტერესებდათ ამ საკითხებთან”

სხვდასხვა დღეს არაერთ სტუმართან განიხილა წამყვანმა სავარაუდოდ “ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მოსალოდნელი დესტაბილიზაციის” თემა, რომელიც დისკუსიაში დახარჯული დიდი დროის მიუხედავად, რას ეფუძნებოდა, გაურკვეველი დარჩა.

მაგალითად, მანანა კობახიძემ [12 სექტემბერს](#) თქვა, რომ მათ ეჭვებს დესტაბილიზაციის შესახებ აქვს საფუძველი ამის დასტურად მოიყვანა ვაკეში მომხდარი მკვლელობა „მისი თქმით, “ეჭვიტანილი” არის „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, “ვისაც ძალიან ენდობოდა სააკაშვილი”. წამყვანს ეს თემა აღარ განუვრცია და გაუგებარი დარჩა კონკრეტულ მკვლელობას რა კავშირი აქვს დესტაბილიზაციასთან, სამაგიეროდ ეს ნარატივი მანამდე არაერთხელ გაიმეორა წამყვანმა სხვა სტუმრებთან კითხვის ფორმულირების დროსაც

მაგალითად, [8 სექტემბერს](#) კახი კალაძეს ჰკითხა:

“ბოლო დღეების განმავლობაში გახშირდა კრიმინალური შემთხვევები ვგულისხმობ ორ მკვლელობას, ერთი დაჭრა. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში კრიმინალის მაჩვენებელი გაიზარდა, მეორე ნაწილი კი მომხდარს მართულ პროცესს უწოდებს, რამდენად შეიძლება ეს პროცესი იყოს მართული თქვენ როგორ ფიქრობთ?”

6 სექტემბერს კი გია ვოლსკისადმი დასმული კითხვა ასეთი იყო :

„ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მოხდა ორი მკვლელობა. თქვენც ხართ ამის შესახებ ინფორმირებული, იგივე პოლიტიკოსები, ჟურნალისტები კულუარულად შიდა საუბრები მიმდინარეობს ამასთან დაკავშირებით, რომ იგეგმება დესტაბილიზაცია, რომ შესაძლოა ვინმეს სურდეს დესტაბილიზაცია. კონკრეტული პოლიტიკური ძალა მოიაზრება რაღაც პროცესების უკან, რომ შესაძლოა ეს პროცესი იყოს მართული, თქვენ რა შეგიძლიათ გვითხრათ?“

წამყვანმა მისცა საშუალება დაუდასტურებელი ინფორმაცია გაეგრძელებინა რამდენიმე რესპონდენტს, მაგალითად [გოგი თოფაძემ](#) თქვა “ნატომ უარი გვითხრა 8 წელია გვეუბნება უარს”, წამყვანს არ მიუთითებია რომ ნატოში საქართველოს ინტეგრაციაზე უარი არავის უთქვამს.

[19 სექტემბერს](#) ლალი მოროშკინამ აღნიშნა, რომ უნდა პასუხი სანდრა რულოვსისგან “რატომ მიიღეს გაფატრული გვამები ჭირისუფლებმა ” “ქალთა კოლონიაში ჩვენ ვიცით, რომ გაკეთდა არანორმალური რაოდენობის ოპერაციები საშვილოსნოს ამოღებაზე, რომელიც არანაირ გეგმაში არ იყო. ამაზე ღიად საუბრობენ” - თქვა მან.

წამყვანს არ უკითხავს, რა კავშირში იყო სანდრა რულოვსი ქალთა კოლონიასთან, “არის მტკიცებულებები ამას ამბობთ?” წამყვანის ამ რეპლიკას შესაბამისი პასუხი არ მოჰყოლია და



რამდენიმე წამში წამყვანი სტუმარს დაემშვიდობა. მძიმე ბრალდებები დაუსაბუთებელი დარჩა.

[15 სექტემბერს](#) ირმა ინაშვილთან საუბრისას კი ნაცვლად იმისა, რომ თავად მოეტანა ირმა ინაშვილის გამოსვლებიდან ის ამონარიდები, სადაც ანტიდასავლურ მესიჯებს ავრცელებს, უკითხავს ციტატას IRI-ს ანგარიშიდან და ეკითხება “რა განცხადებებზე, რა დამოკიდებულებაზე არის გაკეთებული აქცენტი და რომელი განცხადებები მოიაზრება ვთქვით ანტიევროპულად და ანტიდასავლურად?”

წამყვანი ძირითად შემთხვევაში სვამდა ზედაპირულ კითხვებს მაგალითად “ვინ არის თქვენი კონკურენტი?”, “რა შანსები გაქვთ არჩევნებში?”, “რამდენი ადამიანის გაყვანას გეგმავთ პარლამენტში?”

### თოქშოუ „59 წამი“

გადაცემა სხვადასხვა ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატებს უთმობდა ეთერს. ფორმატი მკაცრად სტრუქტურირებულია, მხოლოდ 59 წამი აქვთ სტუმრებს პასუხის გასაცემად.

წინასაარჩევნო პერიოდიდან გამომდინარე გადაცემის თემები რელევანტური იყო და სტუმრებიც ძირითად შემთხვევებში შესაბამისად იყვნენ შერჩეული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემაში ბოიკოტის გამო არ მონაწილეობდა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”. ამასთან იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა ან უარი თქვა გადაცემაში მონაწილეობაზე, ან - გარკვეული მიზეზის გამო ვერ მოახერხა, რის შესახებაც აცნობდნენ მაყურებელს.

იყო შემთხვევები, როდესაც ეთერში სტუმრად ერთმანეთის თანამოაზრეები ისხდნენ. მაგალითად [4 სექტემბრის](#) გადაცემაში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ კახა კუკავა და ბესიკ დანელია. ორივე მათგანმა განაცხადა, რომ ისინი თანამოაზრეები არიან და მათ შორის დებატები არ შედგება.

მთლიანობაში გადაცემა იძლევა შესაძლებლობას, რომ ამომრჩეველმა მაჟორიტარი კანდიდატების ზოგადი შეხედულებები გაიგოს მათი პრობლემების შესახებ. თუმცა, პრობლემების ღრმა ანალიზი არ ხდება. წამყვანი ამ გადაცემაში ძირითადად მოდერატორის როლს ასრულებს. მისი ფუნქცია წინასწარ განსაზღვრული კითხვების დასმა და მათზე პასუხის მიღებაა 59 წამში. კითხვები არის ზოგადი და შეეხება იმას, თუ რა ხდება აქვთ კანდიდატებს ამა თუ იმ საკითხზე. წამყვანი თითქმის არ ჩაძიებია სტუმრებს და არ დაუსვამს დამატებითი კითხვები, ან არ უცდია, რომ დაეზუსტებინა გარკვეული დეტალები.

მაგალითად, [11 სექტემბერს](#) თინა ხიდაშელმა შრომითი უფლებების შესახებ წამყვანის კითხვას პასუხი არ გასცა. ნაცვლად ამისა, მან კონკურენტს, ილია კოკაიას უპასუხა და

დაადასტურა 157 მილიონი ლარის მოპარვაში. წამყვანი არ ჩაეკითხა ხიდაშელს კონკრეტულად რა დოკუმენტაციას ფლობდა ამ ბრალდების დასადასტურებლად.

**18 სექტემბერს** ერთერთმა სტუმარმა გიორგი მჭედლიძემ (პატრიოტთა ალიანსი) განაცხადა, რომ რეგიონში უსაფრთხოების დასაცავად ყველა ზომა უნდა გამოიყენონ, თუმცა წამყვანი მას არ ჩაეკითხა კონკრეტულად რა ზომების მიღება მიაჩნდა გამოსავლად. ერთი წუთის განმავლობაში სტუმარი მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ გარკვეული ზომების მიღება აუცილებელია.

მჭედლიძემ ასევე უპასუხოდ დატოვა კითხვა თუ როგორ მოაგვარებს წყალთან დაკავშირებულ პრობლემებს. რესპონდენტმა უბრალოდ დაადასტურა და თქვა რომ “პრობლემა უფრო მეტია ვიდრე წყალი”, წამყვანს დამატებით არ მოუთხოვია პასუხის გაცემა.

ზემოთაღნიშნული დაზუსტებების გარეშე მხოლოდ წინასწარ მომზადებულ კითხვებზე პასუხი ვერ დაეხმარებოდა მაყურებელს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.

## ტელეკომპანია „მაესტრო“

ტელეკომპანიის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ თოქშოუებს „მაესტროს ფაქტორი“ და „ღამის კონტაქტი“ წინა სამონიტორინგო პერიოდთან შედარებით სექტემბერში შეიცვალა გადაცემების ეთერში გასვლის პერიოდულობა და ფორმატი. „ღამის კონტაქტი“ კვირაში სამჯერ, „მაესტროს ფაქტორი“ კი კვირაში ერთხელ, ყოველ პარასკევს იყო ეთერში.

### გადაცემა „ღამის კონტაქტი“

გადაცემაში სტუმრობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და დაცული იყო მრავალფეროვნება. მათ თავისუფლად შეეძლოთ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა. გადაცემა რამდენიმე ბლოკისგან შედგება და როგორც წესი სხვადასხვა სადისკუსიო თემაა რესპონდენტებთან. ხშირად საუბრის თემა სცდებოდა გადაცემის თემას და კადრზე ტიტრადლა რჩებოდა საკითხი, რის განსახილველადაც სტუმრები მიიწვიეს. წამყვანი უმეტეს შემთხვევაში სვამს ზოგად კითხვებს და არ არის სათანადოდ მომზადებული სიღრმისეული დისკუსიისთვის.

გადაცემის ერთი ბლოკი სამჯერ მიემდგნა მაჟორიტარ კანდიდატებს, თუმცა გაუგებარი დარჩა რა კრიტერიუმებით შეირჩა როგორც ოლქი - გლდანის (6.09), ფოთის (5.09), ზესტაფონის (20.09) ასევე პარტიები, რომელთა კანდიდატებიც სტუდიაში მიიწვიეს სასაუბროდ.

მაჟორიტარებთან სასაუბრო თემა არ იყო ფოკუსირებული და განიხილებოდა ზოგადი პრობლემები. ფაქტობრივად, გადაცემა იყო თავისუფალი ტრიბუნა პოლიტიკოსებისთვის,

სადაც მათ ხედვების პრეზენტაცია შეეძლოთ. “რას ეტყოდით ამომრჩეველს“, „ რა გაქვთ სათქმელი“, „რას უპასუხებდით ოპონენტს?“ ძირითადად ასეთი კითხვები ისმოდა.

ფოტის მაჟორიტარ კანდიდატებთან საუბრისას პირველივე საკითხი, რითიც წამყვანი დაინტერესდა, იყო ის თუ რატომ დაასახელა კანდიდატად ლელა ებრალიძე რესპუბლიკურმა პარტიამ. რაზეც პასუხად, სტუმარმა თქვა, რომ „ეს უპრიანია, რესპუბლიკურ პარტიას ვკითხოთ“.

აღსანიშნავია, რომ თითქმის მთელი თვის განმავლობაში, „ქართული ოცნების“ მიერ დაანონსებული არეულობა ან გადაცემის თემა იყო, ან ამ საკითხზე კითხვას სვამდა წამყვანი. თუმცა ბოლომდე გაუგებარი დარჩა კონკრეტულად რა პროვოკაციებზე იყო საუბარი და თუ კონკრეტული ფაქტები არ არსებობდა, რა საჭირო იყო ამდენი დროის დათმობა ამ საკითხისადმი.

5 სექტემბერს მოსალოდნელ პროვოკაციებზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, თინათინ ბოკუჩავას ეკითხება:

„მმართველი პოლიტიკური ძალა ამბობს, რომ აი ამ განცხადების პასუხად, რომელიც დღეს მოვისმინეთ თამარ ჩუგოშვილისგან, ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა არაადექვატური რეაქცია და რომ პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალა სხვაგვარად მოიქცეოდა და ისიც აიღებდა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იმ მოსალოდნელ პროვოკაციაზე, რომელზეც საუბრობს მმართველი პოლიტიკური ძალა... გისმენთ“.. - წამყვანი ხშირ შემთხვევაში სტუმრებს სწორედ ამგვარად სხვათა კომენტარების შეფასებას სთხოვს.

ამავე გადაცემაში სტუმრები გადაცემის თემას ასცდნენ და განიხილავდნენ უმუშევრობას, ინვესტიციებს, სახელმწიფო პროგრამებს, კრიმინალური ფაქტების მოხშირებას და ა.შ.

15 სექტემბერს მეოთხე ბლოკის სტუმარ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ წევრ გია კორკოტაშვილსაც წამყვანი დაანონსებული პროვოკაციის შესახებ ესაუბრება. მას ეკითხება „ბატონო გია, რაც ეხება, ძალიან აქტუალურია თემა მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საფრთხე, პროვოკაციები, მუდმივად სხვადასხვა მაღალჩინოსნის მხრიდან ვისმენთ ამის შესახებ განცხადებებს, ბოლო იყო გუშინ პრემიერმინისტრი. თქვენ როგორ ხედავთ ამ საფრთხეს, გრძნობთ თუ არ და რას ფიქრობთ. მაგალითად, ოცნებას აქვს თუ არა შეთავაზება, რომ გარკვეული მემორანდუმი გაფორმდეს და ყველა პარტიამ მოაწეროს ხელი რომ ოპოზიციამაც იკისროს ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა. თქვენი ხედვა?“

წამყვანი ხშირ შემთხვევაში სვამდა ზედაპირულ კითხვებს, მაგალითად ასევე გია კორკოტაშვილს ჰკითხა “როგორ მიდის თქვენი საქმე, პოლიტიკური კარიერა, რა ხდება? გიამ

უპასუხა, რომ სიტყვა „კარიერა“ ეხამუშება, რომ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. მოგვიანებით კი დაინტერესდა “რას ჩივის თქვენთან ამომრჩეველი, ბატონო გია?”

პარტიების საარჩევნო ხედვების განხილვისას წამყვანი პასიური იყო და ფაქტობრივად არ სვამდა კითხვებს და ოპონენტების ბრალდებებს აპასუხებინებდა.(მაგ. 6 სექტემბერი)

“დამის კონტაქტის” მონიტორინგისას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემაში ხელისუფლების პოზიტიურად წარმოჩენას ემსახურებოდა გარკვეული თემების წამოწევა და გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება.

13 სექტემბერს გადაცემის ერთი ბლოკი მთლიანად დაუთმეს ვინმე ვაჟა ციგროშვილს, რომელსაც წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნეს. მან თავად მოყვა ისტორია და საუბრის დასრულების შემდეგ ჩართეს ირაკლი ნადარეიშვილი, პროკურატურის წარმომადგენელი. წამყვანმა სთხოვა “იქნებ მოგვიყვით რამდენად რთული იყო აქ გამოკვეთა მტყუან მართლის” მთავარი მესიჯი ამ ბლოკის იყო წინა ხელისუფლების ნეგატიურად, ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიტიურად წარმოჩენა. თუმცა, იმდროინდელი ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი სტუდიაში არ იმყოფებოდა.

გოგა ხაინდრავას ფილმს, “ჰეროკრატას” მიემღვნა გადაცემის ერთი ბლოკი 9 სექტემბერს. მისი დადებით კონტექსტში წარმოჩენას და მის მნიშვნელობაზე ხაზგასმას ხელი შეუწყო წამყვანის კითხვებმა: “დასრულებულია გადაღებები?” “გაგიჭირდათ მსახიობების დათანხმება?” “უფრო და უფრო მიმდება თუ ვერ ვიტყვით ესე, როგორ ვითარდება სცენარი?” ბოლოს კი წამყვანმა რეჟისორი გოგა ხაინდრავა სამართლიანობის აღდგენის პრიორიტეტულობაზე ასაუბრა.

14 სექტემბერს კი ექსპერტის სტატუსით მოწვეული იყო ოთო აბესაძე, რომელიც “ქართული ოცნების” წევრი და განათლების მინისტრის მრჩეველი იყო. ამ გადაცემას ტიტრად გასდევდა „მოსალოდნელი დესტაბილიზაცია“ მაშინ, როდესაც პირველ ბლოკში გვარამია - ბურჭულაძის სატელეფონო საუბარს განიხილავდნენ და მაშინაც, როცა საარჩევნო გარემოზე საუბრობდნენ. “მოსალოდნელ დესტაბილიზაციას” მხოლოდ მესამე ბლოკში „ქართული ოცნების“ წევრ მანანა კობახიძესთან საუბრისას შეეხნენ.

### თოქშოუ „მაესტროს ფაქტორი“

„მაესტროს ფაქტორი“ განახლებული ფორმატით 9 სექტემბრიდან გადის ეთერში და სამონიტორინგო პერიოდში მხოლოდ 3 გადაცემა მოხვდა. განახლებულ ფორმატში თემატური საარჩევნო დებატები იმართებოდა. სამივე გადაცემაში სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტები იყვნენ წარმოდგენილნი. წამყვანი ამ შემთხვევაში არბიტრის როლს ასრულებდა და დიდად არ ერეოდა დისკუსიაში, მისი ფუნქცია უფრო დისკუსიის მოდერაცია იყო.

გადაცემის პრობლემად რჩება წამყვანის გაუგებარი, ბუნდოვანი, არაფრისმომცემი შეკითხვები და შესავალი ტექსტები.

9 სექტემბერს გადაცემის ახალი ფორმატით გასვლისას, წამყვანის ტექსტი ასეთი იყო:

“ყველა კვლევა მოწმობს, რომ პირველი პრობლემა ქვეყანაში უმუშევრობაა, პირველ რიგში ამომრჩეველს პოლიტიკური ლიდერებისგან აინტერესებს, როგორ აპირებენ ისინი ხალხის დასაქმებას. არა ქვეყნის საგარეო კურსის გამო, არა ღირებულებების გამო, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეები მონაწილეობას მიიღებენ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარების იმედით“.

რომელ კვლევას გულისხმობდა წამყვანი, აუდიტორიისთვის უცნობი დარჩა. რაზე დაყრდნობით იცის წამყვანმა რის იმედით იღებენ მონაწილეობას არჩევნებში? საიდან გამომდინარეობს შესავალ ტექსტში მოყვანილი დასკვნები, გაუგებარი დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ წამყვანის თქმით, გადაცემა პროგრამულ დებატებს უნდა დათმობოდა, ეკონომიკურ ხედვებზე პირველ და მეორე ბლოკში ისაუბრეს, მესამე ბლოკი მთლიანად „ქართული ოცნების“ ახალ კლიპს დაეთმო. ქართული ოცნების სამი წარმომადგენელი (ე.წ. ახალი სახეები) სტუდიაში ამ რგოლს აფასებდა. მათი წარდგენისას წამყვანმა თქვა რომ “პოლიტიკისთვის ეს [სტუმრები] არის მნიშვნელოვანი შენაძენი”.

წამყვანს არ დაუმაღავს თავისი მოსაზრებები ვიდეო რგოლთან დაკავშირებითაც

„ერთ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, ჩემთვის საინტერესო, იყო საარჩევნო კლიპი. ეს პრეზენტაცია, რომელიც გაიმართა სულ ცოტა ხნის წინ, ძალიან განსხვავებული იყო ეს ვიდეორგოლი, მინდა გითხრათ, მე მომეწონა, თავის პოზიტიური განწყობის გამო. განსხვავებულია სწორედ აი ამ კუთხით. ძირითადად, საარჩევნო კამპანიის დროს აქცენტი კეთდება პრობლემებზე, იმაზე თუ რა აწუხებს მოსახლეობას და ეს ყველაფერი ჩანს ეკრანზე. იდეას როგორ აფასებთ, ნინო თქვენგან დავიწყეთ, საიდან გაჩნდა ეს იდეა, რომ ყოფილიყო რაღაც ესეთი, ბედნიერი საქართველო, ხო ის რაც არის წამოსული ეკრანზე. და როგორ აღიქვამს ამას ამომრჩეველი, რომელიც პრინციპში არჩევნების წინ მიჩვეულია, რომ მას პრობლემებზე ელაპარაკებიან.“ „თქვენ თუ მოგწონთ, ჯერ ეს მითხარით და თუ არის ეს ის, რაც თავიდან იყო ჩაფიქრებული“,

„ამ ვიდეო რგოლში ასევე ჩანს, აი ინოვაციური მიმართულება რაც აქვს პრემიერს და ეს თანამედროვე ტექნოლოგიები და ეს დრონი, რომელიც დაფრინავს, მე არ ვიცი, თქვენ როგორ ფიქრობთ, დავუშვათ აი რეგიონებში ყველას აქვს წარმოდგენა ეს რა მფრინავი ობიექტია, დავუშვათ, რომელიც ჩანს ამ კლიპში, ანუ სწორად გაიგებს ამომრჩეველი ამ გზავნილებს?“

წამყვანის ამგვარად ფორმულირებულ შეკითხვებში ჩანს აშკარა სიმპათია კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფს მიმართ.

როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, სექტემბრის თვეშიც ამ გადაცემაში წამყვანის მხრიდან ისმოდა რუსული პროპაგანდისტული მესიჯები.

16 სექტემბერს, პარტიების საგარეო კურსთან დაკავშირებით ხედვებზე საუბრისას წამყვანმა შემდეგი მოსაზრებები გამოთქვა:

- „ნატოში ვერ გავწევრიანდებით თუ არ აღდგა ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ნატო გვინდა იმისთვის, რომ აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა“
- „ანუ თქვენ ამას უშვებთ, რომ ცხინვალის და აფხაზეთის გარეშე საქართველო შეიძლება გაწევრიანდეს ნატოში“.
- „ როგორ გამოვა, რომ საქართველო არის ნატოს წევრი და ნატოს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე დგანან რუსული ბაზები“?
- „ნატო მიიღებს ამ გადაწყვეტილებას რომ საქართველო მიიღოს ნატოში და თან ჩვენ რეგიონებში...“

სტუმრები ცდილობენ დაერწმუნებინათ წამყვანი, რომ რასაც ის ამბობს, მცდარია და ეს არის რუსული პროპაგანდისტული მესიჯები.

„მიკვირს თქვენგან სკეპტიკური შეკითხვის ესე დასმა“ - უთხრა წამყვანს ალექსი პეტრიაშვილი (თავისუფალი დემოკრატები), „ეს რუსული პროპაგანდის მესიჯია“ - აღნიშნა სალომე სამადაშვილმა (ენმ).

მეორე ბლოკში სტუმრებს „დემოკრატიული მოძრაობიდან“ გიორგი ახვლედიანი დაემატა, რომელმაც ზემოთ აღნიშნული მესიჯები შეავსო და განავრცო.

## ტელეკომპანია „პირველი“

ტელეკომპანიის „პირველი“ ეთერში, მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „რვიანი“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს ეთერში 20:00 საათზე გადის.

### გადაცემას „რვიანი“

გადაცემაში ძირითადად დაცულია მოსაზრებების მრავალფეროვნება, წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა პარტიების წევრები. მონიტორინგის პერიოდში წამყვანის მიერ დასმულ კითხვებში და გაკეთებულ აქცენტებში არ იგრძნობოდა მიკერძოებულობა და მისი პოლიტიკური თუ სხვა სიმპათიები. წინასაარჩევნო პერიოდიდან გამომდინარე სტუმრების დიდი ნაწილი პარლამენტის წევრობის კანდიდატები იყვნენ. სტუმრები ხან ერთვებოდნენ

პირდაპირ ეთერში, ხან სტუდიაში იყვნენ მოწვეულები. შეიძლება ითქვას, რომ ძირითად შემთხვევაში მათი წარმოჩენისას დაცული იყო ბალანსი.

თუმცა, 12 სექტემბერს იყო შემთხვევა, როდესაც წამყვანის თქმით, გადაცემაში მონაწილეობა უნდა მიეღო “ნაციონალური მოძრაობის” წევრ ელენე ხომტარას, თუმცა პარტიამ ის თინათინ ბოკუჩავათი ჩაანაცვლა. გადაცემის შემოქმედებითმა გუნდმა კი მას უარი უთხრა, ვინაიდან თინათინ ბოკუჩავა წინა გადაცემაში იღებდა მონაწილეობას. შედეგად, გადაცემის თემის შესახებ, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით პარტიების ხედვის წარმოდგენისას სხვა პარტიებთან ერთად ნაციონალური მოძრაობის მოსაზრებები მაყურებლისთვის უცნობი დარჩა. კანდიდატების თანაბარი გაშუქება ტელეკომპანიას ‘მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, ავალია.

იყო შემთხვევა, როდესაც მოწვეული სტუმრები რა კავშირში იყო თემასთან გაუგებარი დარჩა, მაგალითად 6 სექტემბერს გადაცემის პირველი ნაწილი მიემდგვნა და ირაკლი ოქრუაშვილისა და ქიზარ ხალვაშს შორის დადებულ გარიგებას, რაც „რუსთავი 2-ის“ მფლობელობას ეხებოდა. ამ თემაზე სასაუბროდ მოწვეულნი იყვნენ მანანა ნაჭყებია (ახალი მემარჯვენეები), სევდია უგრეხელიძე (ენმ), ნანა კაკაბაძე (ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის), ნიკოლოზ მჭავანაძე (უფლებადამცველთა გაერთიანება). მათი კავშირი სადისკუსიო თემასთან ბუნდოვანი დარჩა.

გადაცემის მიმდინარეობისას როცა შეეხნენ გოგა ხაინდრავას ახალ ფილმს სევდია უგრეხელიძემ მის მიმართ რამდენიმე მძიმე ბრალდება წამოაყენა “სამწუხაროდ, არავინ გადაიღო მის მიერ ავტობუსის ჩაცხრილვა მეტეხის ხიდზე ზვიადის გაქცევის დროს, არც აფხაზეთში რას ძარცვას, სჩადიოდა, არც ნარკოტიკული რაღაც..“ წამყვანს ადეკვატური რეაქცია ჰქონდა და მიუთითა, რომ ბრალდებების ტირაჟირება ფაქტების გარეშე მიუღებელია.

გასულ სამონიტორინგო პერიოდთან შედარებით სექტემბერში წამყვანები უფრო მეტად იყვნენ მომზადებულები სადისკუსიო თემებისთვის, იცნობენ პარტიების პროგრამებს, როდესაც მასზე საუბრობდნენ. ასევე გაუმჯობესებაა იმ თვალსაზრისით, რომ წამყვანი ყოველთვის კითხულობს შესავალ ტექსტს, ამცნობს საზოგადოებას სასაუბრო თემას, რაც წინა სამონიტორინგო პერიოდში არ ხდებოდა.

პრობლემური იყო 31 აგვისტოს გადაცემა. სადაც ეთერში ისმოდა ანტიდასავლური გამონათქვამები, ცრუ ფაქტები, თუმცა წამყვანს ადეკვატური რეაქცია არ ჰქონია.

"თუ იდეოლოგია იქნება ცუდი ამერიკის და არის დღეს, ამას თავს გვახვევენ, სკოლაში საგნები შემოაქვთ, ბავშვებს რყვნიან, ოჯახებს ანგრევენ, რაღად მინდა ეგეთი თავისუფლება. რუსეთი თუ ჯობდა ერთი პერიოდი მუსულმანებს, ახლა ჯობია ამერიკელებს", - განაცხადა სტუმარმა გურამ ფალავანდიშვილმა (დემოკრატიული მოძრაობა).

იმის ნაცვლად, რომ ჟურნალისტს დაესვა კონტრშეკითხვა, თუ რა არგუმენტებს ფლობდა რესპონდენტი, როცა საუბრობდა ამერიკის მხრიდან საქართველოს გარყვანაზე და გამოეპარა რეალობა, რაც არ შეესაბამება რესპონდენტის მონათხრობს, ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვით მიმართა მეორე სტუმარს, იაგო ხვიჩიას (გირჩი): "რა იქნება თქვენი საპირწონე არგუმენტები ამ შემთხვევაში ცუდსა და უარეს მტერს შორის, ასეთი განსაზღვრება შემოგვთავაზა ბატონმა გურამმა, ავირჩიოთ უფრო უკეთესი მტერი". შეკითხვის ასეთი ფორმულირებით ჟურნალისტი "მტრის" იარლიყს აკრავს საქართველოს მეგობარ ქვეყანას აშშს. იაგო ხვიჩიამ განაცხადა, მისთვის შეურაცხმყოფელია ფალავანდიშვილთან ერთად ეთერში ყოფნა, მას რომ სცოდნოდა წინასწარ თუ ვისთან ერთად მოუწევდა დებატებში მონაწილეობა, ის არ მიიღებდა გადაცემაში მონაწილეობას, აქედან კი ჩანს რომ სტუმარი არ იყო გაფრთხილებული თუ ვისთან მოუწევდა დისკუსია. ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპებიდან გამომდინარე სტუმარი ინფორმირებული უნდა იყოს ოპონენტის შესახებ.

ფალავანდიშვილმა არაერთი ქსენოფობიური და ჰომოფობიური განცხადება გააკეთა, მაგალითად: „მე არ ვცემ პატივს მუსლიმანურ რელიგიას“; „საქართველოს გათათრება“; „მიუხედავად იმისა, რომ რუსული ეკლესია გამეფდა ქართულზე, ბევრად ჯობდა მოლას“; „საქართველოს გაცისფრება“; „მამათმავლობა“ და ა.შ. რესპონდენტის ასეთ შეუწყნარებლობაზე ადეკვატური რეაქცია არ ჰქონია გადაცემის წამყვანს, მხოლოდ ერთი ფრაზა თქვა, რომ თავი შეეკავებინათ ასეთი ფრაზებისგან. მნიშვნელოვანი იყო, რომ ჟურნალისტი უფრო მეტად ყოფილიყო მომზადებული აღნიშნული თემის გაშუქების დროს, ვინაიდან ის მითები და ნარატივი, რასაც პრორუსული ძალები იყენებენ საქართველოში, ცნობილია და ამდენად აუცილებელი იყო საპასუხო რეაქციები ჟურნალისტის მხრიდან ყოფილიყო უფრო მეტად ადეკვატური.

"ბოდიშს ვუხდით აუდიტორიას, თუკი ამ ეთერში გაჟღერდა რაიმე ქსენოფობიური ან ჰომოფობიური" - ამ განცხადებით დაასრულა ჟურნალისტმა გადაცემა, რაც არ ნიშნავს ჟურნალისტის მხრიდან გამიჯვნას მსგავსი განცხადებებისაგან, ვინაიდან მან სათუოდ გახადა ის, რომ ნამდვილად ჰქონდა ასეთ განცხადებებს ადგილი ერთერთი მოწვეული სტუმრის მხრიდან.

ისევე როგორც წინა სამონიტორინგო პერიოდში, სექტემბერშიც პრობლემად რჩება წამყვანების მიერ დებატების მართვის უნარი. ხშირად სტუმრები ერთდროულად საუბრობენ და მსმენელს პრაქტიკულად არაფერი ესმის. წამყვანი ცდილობს დაამოშინოს სტუმრები, მაგრამ უჭირს იყოს მკაცრი და კატეგორიული.

7 სექტემბერს გადაცემაში მოხდა ინცინდენტი. გიორგი ახვლედიანმა („დემოკრატიული მოძრაობა“) გადაცემის ბოლოს მის ოპონენტს დავით კიზირიას („სახელმწიფო ხალხისთვის“)



წყალი შეასხა. წამყვანმა რეკლამა გამოაცხადა, თუმცა ეთერში აღარ დაბრუნებულან, დასრულდა გადაცემა.

ისევე როგორც ამ გადაცემაში, ბევრ შემთხვევაში დისკუსია ცდებოდა დაანონსებულ თემას და ურთიერთბრალდებები განიხილებოდა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია როცა საუბარი დებატების რეჟიმში მიმდინარეობს, როგორც წესი ამ დროს მხარეები თემის გარშემო კი არ ტრიალებენ, არამედ ერთმანეთს ბრალს სდებენ, თუ ვინ რას აკეთებდა წინა წლებში და ვინ რას წარმოადგენს.

## ტელეკომპანია „კავკასია“

ტელეკომპანიის „კავკასია“ ეთერში, მონიტორიები აკირდებოდნენ თოქშოუს „ბარიერი“, (კვირაში ოთხჯერ 21:15 საათზე)

### თოქშოუ „ბარიერი“

საანგარიშო პერიოდში ეთერში გავიდა სულ 12 გადაცემა. ის არასოდეს იწყება და მთავრდება პროგრამაში მითითებულ დროს (21:15 – 22:30). ზოგჯერ გრძელდება 23 საათის შემდეგაც. გადაცემას ორი წამყვანი ჰყავს, რომლებიც მონაცვლეობით უძღვებიან გადაცემას.

გადაცემაში ისმოდა მოსაზრებების მრავალფეროვნება, წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, თუ რომელიმე სტუმარი ეთერში არ მივიდა, ამის შესახებ ჟურნალისტი განმარტებებს აკეთებდა. წამყვანები იყვნენ მიუკერძოებლები, მაგრამ სტუმრებს მწვავე და კრიტიკული კითხვების ნაცვლად სვამდნენ ისეთ კითხვებს, როგორცაა:

- რა პრობლემები აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას?
- რას გააკეთებთ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში?
- როგორ შეაფასებთ საარჩევნო გარემოს?
- თქვენი მთავარი დაპირება რა არის?
- წარმოდგენთ უფრო მეტად საკუთარ თავს თუ საკუთარ პარტიას? ... თქვენს ღირსებებს უსვამთ უფრო მეტად ხაზს თუ პარტიის წარმომადგენელი და წარგზავნილი ხართ?

წამყვანები ძალიან იშვიათად იყენებდნენ ციტატებს. არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულები. არ იცნობდნენ სუბიექტების საარჩევნო პროგრამებს.

წამყვანები ვერ მართავენ დებატებს და ვერ ახერხებენ სტუმრებისთვის თანაბარი დროის დათმობას. [მაგ. 8 სექტემბერს](#) - “აფხაზთა კრების” ლიდერის, მალხაზ პატარაიას და

“თავისუფალი საქართველოს” ლიდერის კახა კუკავას დაპირისპირების ფონზე გადაცემის სხვა სტუმრებს ნაკლები დრო ეთმობათ. კუკავამ კი ბოლოს გადაცემაც დატოვა.

„ბარიერში“ რამდენჯერმე მოეწყო დებატები ერთ საარჩევნო ოლქში წარდგენილ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს შორის. მაგ. გლდანის მე-20 (22.09), ნამალადევის მე-19 (20.09), ისნის მე-9 (14.09) და ისნის მე-10 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები მოიწვიეს.

გასაგებია, რომ ერთი გადაცემა ვერ შეძლებს თუნდაც თბილისის მასშტაბით ყველა საარჩევნო ოლქში წარდგენილ დეპუტატთა შორის დებატების მოწყობას, მაგრამ ამ შემთხვევაში როგორ და რა ნიშნით ხდება იმ საარჩევნო ოლქების შერჩევა, საიდანაც დეპუტატობის კანდიდატებს დებატებისთვის სტუდიაში იწვევენ, გაურკვეველი დარჩა. წამყვანებს ამის შესახებ განცხადება არ გაუკეთებიათ.

## ტელეკომპანია „ტაბულა“

ტელეკომპანიის „ტაბულა“ ეთერში დაკვირვება მიმდინარეობდა თოქშოუზე „თეორემა“, ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს. აღსანიშნავია, რომ გადაცემა 1 აგვისტოს შემდეგ ეთერში აღარ გასულა.

### თოქშოუ „თეორემა“

გადაცემა ცდილობს გაანალიზოს საარჩევნო პერიოდში მომხდარი ამბები, თუმცა ნაკლებად კეთდება აქცენტი უშუალოდ საარჩევნო პროგრამებზე. როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, სექტემბრის თვეშიც გადაცემაში მოსაზრებათა მრავალფეროვნების ნაკლებობაა, მხოლოდ რამდენიმე პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობენ გადაცემაში. “ქართული ოცნება” გადაცემაში “თეორემა” არ მონაწილეობს, რის შესახებაც სამონიტორინგო პერიოდში ამცნო წამყვანმა საზოგადოებას.

წამყვანი ჩართულია გადაცემაში, აქტიურია, მაგრამ სტუმრებს არ აზუსტებინებს მთელ რიგ დეტალების, მათ აძლევს თავისუფალ ტრიბუნას, რის გამოც მაყურებლისთვის ბევრი საკითხი ბუნდოვანი რჩება. მაგალითად, 8 სექტემბერს [სალომე სამადაშვილი ამბობს](#), რომ მათი პოლიტიკური პარტია “ქმნის ახალ სტანდარტს ქართულ პოლიტიკაში წინა საარჩევნო კამპანიის წარმართვის დაგეგმვის და განხორციელების” და ძირითადად საუბრობს “კარდაკარის” პროგრამაზე, როგორც ნოვაციაზე. როცა უშუალოდ ამომრჩეველთან მიდიან, აცნობენ პროგრამას და უსმენენ მათ. თუმცა არც ჟურნალისტს უკითხავს და საერთოდ გაუგებარი დარჩა, რატომ ფიქრობს პოლიტიკოსი, რომ ეს პროგრამა არის ნოვაცია ან რა არის ამაში განსაკუთრებული - არჩევნების წინ ამომრჩეველთან ხომ ისედაც ბევრი პოლიტიკური პარტია მიდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგმა სტუმარმა ამირან გიგუაშვილმა

(თავისუფალი დემოკრატები) აღნიშნა, რომ თვითონაც ხვდება ამომრჩეველს: “მე არ ვიცი ქალბატონმა სალომემ ეს როდის აღმოაჩინა როგორც ნოვაცია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს მეთოდი ისეთივე ძველია როგორც საარჩევნო კამპანია”

ჟურნალისტი ბევრ საკითხებში არ ეძიება რესპონდენტს და მათ მიერ დასახელებული ფაქტების დაზუსტებას არ სთხოვს. მაგალითად, სალომე სამადაშვილი საუბრობს სტუდენტებზე, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს ატარებდნენ “და მათი განცდა არის ასეთი, რომ სამწუხაროდ, განსაკუთრებით რეგიონებში, ხელისუფლების ზეწოლის პირობებში ადამიანებს დღეს რეალურად ეშინიათ საკუთარი აზრის დაფიქსირება”. მიუხედავად საკმაოდ მძიმე ბრალდებისა, ჟურნალისტი არ ეკითხება რესპონდენტს, რა სახის ზეწოლაზე საუბრობს, ვის წინააღმდეგ ან კონკრეტულად რომელ რეგიონში.

იგივე მოხდა [12 სექტემბერსაც](#), როდესაც მერიის მისამართით ისმოდა ბრალდებები იმის შესახებ, რომ წინასაარჩევნოდ ბიუჯეტიდან თანხების ხარჯვა გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანის ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა “თბილისის წინასაარჩევნო გამოცოცხლებას”, ჟურნალისტს არ მოუყვანია არანაირი სტატისტიკა, რომ წინასაარჩევნოდ მართლაც გაიზარდა კონკრეტული მუხლების ხარჯვა.

ამ დღეს გადაცემა ეძღვნებოდა პარტიების ხედვას თბილისის განვითარებასთან დაკავშირებით. გადაცემის დასრულების შემდეგაც გაუგებარი დარჩა თბილისში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, კონკრეტულად რა გზები აქვთ არჩეული ამ კანდიდატებს, რით განსხვავდება ეს გზები ერთმანეთისგან, რატომ ფიქრობენ რომ ეს სწორი გზაა.

აღსანიშნავია, რომ როდესაც ქართული ოცნების მიმართ ისმის ბრალდებები და მისი წარმომადგენელი სტუდიაში არ ზის არც წამყვანი ცდილობს მათი პოზიციის წარმოჩენას,

თბილისის განვითარებაზე მსჯელობისგან განსხვავებით წამყვანი უფრო მომზადებული იყო პარტიების ეკონომიკურ ხედვებზე საუბრისას 22 სექტემბერს. ჩანდა რომ იცნობდა მოწვეული პარტიების პროგრამას და აქედან გამომდინარე სვამდა კითხვებს.

8 სექტემბერს გადაცემაში სტუმრად ჰყავდა „გირჩის“ ანალიტიკოსი სანდრო თარხან-მოურავი. საუბრის განმავლობაში წამყვანი მას ხან როგორც ექსპერტს ისე უსვამდა კითხვას და ხანაც როგორც “გირჩის” წარმომადგენელს.


## ტელეკომპანია „ობიექტივი“

### გადაცემა „ღამის სტუდია“

ობიექტივის „ღამის სტუდია“ ყოველ დღე, 22:30 საათიდან გადის ეთერში. გადაცემა ორი ბლოკისაგან შედგება. ხშირად, ორივეში ერთი და იგივე თემა ტრიალებს. საერთოდ ძნელია

გადაცემის თემის გამოკვეთა, იმდენად ბევრ თემაზე მიმდინარეობს საუბარი. „ღამის სტუდიას“ ჰყავს სამი წამყვანი, რომლებიც მონაცვლეობით უძღვება გადაცემას.

ამ სამონიტორინგო პერიოდში დარჩა იდენტური პრობლემები რაც წინა ანგარიშში იყო აღნიშნული. გადაცემა ფაქტობრივად სააგიტაციო ტრიბუნაა „პატრიოტთა ალიანსისთვის“, სადაც მათ თავისუფლად ეძლევათ ნებისმიერ თემაზე საუბრის შესაძლებლობა დიდი ქრონომეტრაჟით.



წამყვანები ფაქტობრივად სრულად ეთანხმებიან სტუმრებს და განსხვავებული აზრი ეთერში არ ისმის. ისინი არათუ კრიტიკულ კითხვებს არ სვამენ, არამედ ღიად აფიქსირებენ საკუთარ პოზიციებს და მეგობრული საუბარი მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ბევრი წევრი და მაჟორიტარობის კანდიდატი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ამ არხის წამყვანები იყვნენ.

8 სექტემბერს „პატრიოტთა“ ალიანსის“ კანდიდატთან საუბრისას წამყვანმა აღნიშნა:

“ახლა გისმენთ, ბატონო ზაზა და თქვენი პატიოსნების მაოცებს რა. ვუყურებ ზოგიერთ გათავხედებულ მაჟორიტარობის კანდიდატებს და ადამიანებს გაზს პირდება, წყალს პირდება, გზას პირდება და ა.შ. და ისე უტიფრად ჰყვება ამას, იმისი, რა ჰქვია, ტელეკამერების წინაშე, რომ აი, მართლა, ღმერთმა დაიფაროს, ჯერ ერთი ეს ადამიანები

გახდნენ და რაღაცას მიაღწიონ და რომ გახდნენ, სულ თავში უნდა ურტყა ეს კადრები მოკლედ ამ ხალხს რა.”

13 სექტემბერს გუბაზ სანიკიძესთან საუბარი წამყვანა ასე დაიწყო “ მე ვარ თქვენი გულშემატკივარი, ვერ დაგიმალავთ, მე მინდა, ეროვნული ძალები რაც შეიძლება ბევრი იყოს პარლამენტში წარმოდგენილი, მაგრამ აი, მოვუსმინე ბიძინა ივანიშვილს და რაღაც უგუნებოდ შევიქენი”.

7.სექტემბერს კი დავით თარხან მოურავს ამგვარად ფორმულირებული კითხვა დაუსვა:

“ბატონო დავით, თქვენ გადაწყვიტეთ, როგორც აღვნიშნეთ თავში, რომ სათავეში ჩაუდგეთ აჭარაში “პატრიოტთა ალიანსს.” აჭარაში, სადაც თქვენ ძალიან ბევრი შრომა გაწიეთ, რომ აჭარის მოსახლეობის ინტერესები ყოფილიყო დაცული თუნდაც აზიზის მერეთთან დაკავშირებით და დღეს კიდევ არის საუბარი, რომ ვინმე ამას დააფინანსებს და მეჩეთი მაინც აშენდება და ა.შ. და ა.შ. სინამდვილეში არსებობს 60.000-ზე მეტი ხელმოწერა აჭარელი მოსახლეობის. რა პრობლემების დასაძლევად მიდიხართ აჭარაში?”

“თურქეთის იმპერიალისტურ ზრახვებს პირველი პირები არ მალავენ და საჯაროდ გამოხტავენ.”

ამგვარი ფრაზებით წამყვანი რესპონდენტის ანტითურქულ რიტორიკას სრულად იზიარებდა და პროვოცირებას უწევდა მას. დავით თარხან-მოურავიც დიდი ხნის განმავლობაში საუბრობდა თუ როგორ აქვს თურქეთს ოკუპირებული ქართული ტერიტორიები.

საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ გასულ სამონიტორინგო პერიოდთან შედარებით გაძლიერდა ანტითურქული რიტორიკა. აჭარის სტუდიაში მოწვეულ სტუმრებს უმეტესად ამ მიმართულებით ასაუბრებდნენ. ზოგადად ამ რეგიონს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა სხვა კუთხეებთან შედარებით.

23 სექტემბერს ეთერში გაუშვეს ბათუმში ჩატარებული ქუჩის გამოკითხვაც, რომელიც ეხებოდა ახალი თურქული სკოლის გახსნას.

ვოქსპოპის კითხვა ასე იყო ჩამოყალიბებული - მისაღებია თუ არა თქვენთვის საგანმანათლებლო დაწესებულება ბათუმში, რომელიც არ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობას?

კითხვაზე, ბუნებრივია, უარყოფითი პასუხები ეცემა. მოსახლეობის კომენტარებში არის თურქოფობიული განცხადებებიც, რომ თურქებს ვეხვეწებით, ჩამოვიდნენ და იმუშავონ, ნებით გვიპყრობენ და არა ძალით და ა.შ.

ვოქსპოპის შემდეგ, წამყვანი სტუმრებთან შემდეგი კითხვით შემოდის: „მიზანშეწონილია სკოლა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში არ ზის?“

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისა და მისი წევრებისადმი განსაკუთრებული უარყოფით ტონით გამოირჩევიან. წამყვანმა თბილისში მომხდარი მკვლელობა „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუკავშირა 6 სექტემბერს.

“ის ზონდერები, ის თავიანთი ნიღბებგადაცმული ბიჭები 7 ნოემბერს, 26 მაისს, როგორ ფიქრობთ, ნანა, ისინი ისე გაუშვეს ეხლა დ მიშვებულეები არიან? აქ შანტაჟის მომენტიც შეიძლება იყოს, შეიძლება ბევრს შეიძლება არ უნდა, აღარ უნდა, რაღაცა ჩაიდინოს, მაგრამ არსებობს ის 9 წელი გადასარევი პერიოდია შანტაჟისათვის. იგივე ის ფირები, ის ფაილები, ის სექსუალური ძალადობები, ეს ყველაფერი ამოტივტივდება ეხლა და ნაციონალური მოძრაობა თავისი მორალიდან გამომდინარე ყველაფერს გამოიყენებს. ფიქრობთ თუ არა, რომ ზედიზედ ამდენი რაღაცა თბილისის ქუჩებში, მეტნაკლებად დაკავშირებული იყოს?”

წამყვანებს შორის ნინო რატიშვილი, ყველა გადაცემაში ცინიკურად მოიხსენიებს ადამიანებს, რომლებიც ახლა საარჩევნო სიაში არიან და განათლება საზღვარგარეთ აქვთ მიღებული. მაგალითად, მათი მოხსენიებისას იყენებს ფრაზას „მე ლონდონში ვსწავლობდი“ და რამდენჯერმე გაიმეორა ნიკო ნიკოლაძის ფრაზა, „ჩემი ჩემოდანიც ხშირად იყო ლონდონშიო.“ ხაზს უსვამს, რომ უცხოეთში განათლების მიღება რ არის პროფესიონალიზმისათვის მნიშვნელოვანი;

## „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია“

„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „არჩევნები 2016“, რომელიც კვირაში სამჯერ (ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი) გადის ეთერში. გასულ სამონიტორინგო პერიოდისგან განსხვავებით, ეთერიდან მოიხსნა გადაცემა „პირისპირ“, ვინაიდან მისი წამყვანი ცოტნე ანანიძე „ქართული ოცნების“ პარტიულ სიაში მოხვდა და პოლიტიკაში წავიდა.

### გადაცემა „არჩევნები 2016“

12 სექტემბრიდან აჭარის სამაუწყებლო ბადეში ცვლილებები განხორციელდა. გადაცემა “ფაქტორის” ნაცვლად კვირაში სამჯერ ეთერში გადიოდა გადაცემა “არჩევნები 2016”, სადაც

საარჩევნო სუბიექტები საკუთარი პროგრამის პრეზენტაციას აკეთებდნენ. დაცული იყო პარტიათა მრავალფეროვნება და საკუთარი ხედვების გასაცნობად დიდი დრო ეთმობოდათ.

გადაცემა ფაქტობრივად ტრიბუნას აძლევდა პარტიებს, წამყვანის როლი პასიური იყო და ერთგვარ არბიტრის როლში გვევლინებოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წამყვანი არ აძლევდა საშუალებას სტუმრებს ოპონენტების შეურაცხყოფის.

პრობლემა იყო გადაცემაში მონაწილეთა ვინაობის გარკვევა, რადგან სტუმრებს ძირითადად შემთხვევაში პარტიების სპიკერები წარადგენდნენ, მოიხსენიებდნენ მხოლოდ სახელით, არც ტიტრი ჩანდა კადრში, ამიტომ ზოგჯერ მაყურებლისთვის გაუგებარი რჩებოდა ვინ საუბრობდა ეთერში. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა სახელსაც კი არ ამბობდნენ იმ ადამიანის, ვინც საუბრობდა (მაგ. 16 სექტემბრის გადაცემა)

წამყვანის კითხვები ძირითადად ძალიან ზოგადი იყო - როგორ ხედავს პარტია სოციალური, განათლების, ეკონომიკური... და ა.შ. პრობლემების მოგვარებას. არ შედიოდა პოლემიკაში პარტიის წარმომადგენლებთან. ზოგჯერ დამაზუსტებელ კითხვებს უსვამდა მათ, უფრო მიმართულებას აძლევდა გადაცემას.

გადაცემის ამ ფორმატში შეუძლებელია მაყურებელს მიაწოდო ამომწურავი, კრიტიკული, ღირებული ინფორმაცია, რომელიც მას გააზრებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება. გადაცემის სტუმრები იშველიებენ მონაცემებს ინფრასტრუქტურული პროექტების, უმუშევრობის შემცირების, ბიზნესში დასაქმებულების ზრდის შესახებ. სტუდიაში ერთადერთი ოპონენტი არის წამყვანი, რომელიც შეუძლებელია კომპეტენტური იყოს ყველა საკითხში, წარმოაჩინოს კონტრარგუმენტები და აჩვენოს მაყურებელს თუ რამდენად რეალურია კანდიდატების დაპირება. შესაძლოა უფრო ეფექტური ყოფილიყო თემატური დებატები, სადაც სხვადასხვა პარტიებს შორის გაიმართებოდა დისკუსია, გააკრიტიკებდნენ და ამხელდნენ ერთმანეთს.

მაგალითად, 12 სექტემბრის გადაცემაში “პაატა ბურჭულაძე სახელმწიფო ხალხისთვის” წარმომადგენელი ბატონი მინური (გვარი არ დაუსახელებიათ) სოციალურ პროგრამაზე საუბრისას, ამბობს, რომ 125 ათას ქულამდე მყოფ ოჯახებს გაუწევენ სოციალურ დახმარებას. ამასთანავე აპირებენ, რომ ამ ოჯახებში მყოფ ახალგაზრდებს დაუფინანსონ სწავლა. მოგვიანებით პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ ყველა იმ მშობელს, რომელსაც ჰყავს მოსწავლე, 1200 ლარს სახელმწიფო მისცემს დოტაციის სახით. საიდან აპირებს პარტია ამ თანხების მოზიდვას, თუ აქვს დათვლილი რამდენი დაჯდება და ა.შ. ჟურნალისტი არ ჩაძიებია და შესაბამისად, არც მაყურებელს მიუღია ინფორმაცია ამ დაპირებების რეალურობის შესახებ.

14 სექტემბრის გადაცემაში კი “საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის” წარმომადგენელი, მერაბ სურმანიძე აცხადებს, რომ “საბჭოთა კავშირში კარგად ცხოვრობდა ხალხი”, საუკეთესო განათლებას იღებდა და რუსი ერი ქვეყნის აღმშენებლობასა და ქვეყნის გამთლიანებაში გვეხმარებოდა. ამასთან რესპონდენტი აცხადებს რომ მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო 2008 წლის ომი. წამყვანი არ შეწინააღმდეგებია სტუმარს კონტრარგუმენტებით.

გადაცემაში გამოიყენეს სიძულვილის ენაც, რაზეც წამყვანს ადეკვატური რეაგირება არ ჰქონია. [19 სექტემბერს](#) “თოფაძე-მრეწველები. ჩვენი სამშობლო” პარტიის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციისას სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაზე საუბრისას, პარტიის სპიკერმა ნინო კვირიკაძემ განაცხადა:

“სექსუალურ უმცირესობას რაც შეეხება, ჩემთვის მიუღებელია ქალისა და ქალისა და მამაკაცისა და მამაკაცის ქორწინება. მიუღებელია. ვისთვისაც მისაღებია ვუთმობ დროს (სტუდიაში ტაშია). მიუღებელია პირადად ჩემთვის. არ მინდა მე ასეთი შვილი მყავდეს სახლში. 3 ვაჟკაცი მყავს. ღმერთმა დამიფაროს, რომ იმან კაცი მომიყვანოს ეხლა ცოლად, ხომ გავგიჟდი ქალი და ეგ არის”.

წამყვანმა ეს განცხადება რეაგირების გარეშე დატოვა და სხვა თემაზე გადავიდა სასაუბროდ.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 33-ის თანახმად, “მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება.” “თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.”

## ტელეარხი „TV 25“

ტელეარხი „ტვ25“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ თოქშოუს „დიალოგი“, რომელიც კვირაში ორჯერ გადიოდა ეთერში.

### თოქშოუ „დიალოგი“

აღნიშნული თოქშოუ ამომრჩეველს საშუალებას აძლევს მეტ-ნაკლებად კარგად გაიცნოს საარჩევნო სუბიექტი და წარმოდგენა შეექმნას მათ დაპირებებსა და თუ შესაძლებლობებზე.



გადაცემის პირველ ნაწილში ჟურნალისტები ამზადებდნენ რამდენიმე მასალას სტუმრად მიწვეული საარჩევნო სუბიექტების შესახებ. მაყურებელს აცნობდნენ მაქორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიებს, ასევე მათი პარტიების პროგრამებს. გარდა ჟურნალისტური მასალებისა, პროგრამებზე საუბრის საშუალება დეპუტატებს თავადაც ჰქონდათ.

გადაცემის მეორე ნაწილში დეპუტატები პასუხობდნენ წამყვანისა და მაყურებლის კითხვებს. წამყვანი თითქმის ყველა გადაცემაში ძალიან კარგად იყო მომზადებული. სვამდა ლოგიკურ და საკმაოდ კრიტიკულ კითხვებს. ახერხებდა სტუდიაში სიტუაციის მართვას და არ აძლევდა საშუალებას სტუმრებს შეურაცხყოფა მიეყენებინათ ოპონენტებისთვის. ჟურნალისტი წარმოადგენდა ფაქტებს, მოჰყავდა ციტატები და ა.შ. ოპონირებასაც უწევდა სტუმრებს.

**16 სექტემბრის** გადაცემაში კომუნისტური პარტიის წარმომადგენელ მერაბ სურმანიძეს საუბრობდა ადამიანის უფლებების დაცვაზე. ის ამბობდა, რომ საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით ახლა აღარ არის დაცული ადამიანის უფლებები. რასაც წამყვანმა დაუპირისპირა კონტრარგუმენტები, ამასთან არ მისცა ანტიდასავლური მესიჯების გავრცელების საშუალება, არ მიიღო მათი მისი ზოგადი პასუხები.

წამყვანმა კვლავ მოსთხოვა დაზუსტებები სტუმარს, თუმცა კითხვაზე პასუხისას მისცა საშუალება ანტიდასავლური განწყობებისთვის შეეწყო ხელი.

**14 სექტემბერს** „მრეწველების“ წარმომადგენელი ირაკლი ჯაში საუბრობდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე. მან განაცხადა, რომ მთავრობა უნდა დაეხმაროს ბიზნესმენებს და მისცეს გრძელვადიანი სესხები, რა დროსაც წამყვანმა დაკონკრეტება და საკითხის დაზუსტება ითხოვა. მოგვიანებით სთხოვა დაესახელებინა ყველაზე წარმატებული ერთი საკითხი, რასაც მისი აზრით, ირაკლი ჯაშმა უზენაეს საბჭოში ყოფნისას წარმატებით გაართვა თავი ერთი მთავარი საკითხი, რომლის გადაჭრასაც შეეცდებოდა საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნების შემთხვევაში. ამ კითხვამ სტუმარი დააბნია. მან დაასახელა გარკვეული საკითხები, თუმცა დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემა ვერ შეძლო და გამოჩნდა, რომ მას არ ჰქონდა პასუხები.

ირაკლი ჯაში: “ჩემს წარმატებულად მივიჩნევ საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ კანონში ცვლილება. როგორც კანონში, ისე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილება იყო”

ირინა ყურუა: “რას შეეხებოდა? იქნებ უფრო დეტალურად მოგვიყვით”

ირაკლი ჯაშმა: “შეეხებოდა უმთავრესად... ცვლილება იყო ასეთი, რო არ იყო ჩაწერილი, კანონი გვეუბნებოდა სხვა რაღაცას და რეგლამენტში არ მახსოვს ეხლა ზუსტად რაზე იყო. მაგი რო გეთქვათ უფრო მომზადებული მოვიდოდი, 3 წლის წინანდელი ამბები”

ირინა ყურუამ: “თქვენ მზად უნდა იყოთ ასეთი კითხვებისთვის, როდესაც ხვდებით ამომრჩეველს.”

გადაცემის ერთერთი საინტერესო ნაწილი მაყურებელთა სატელეფონო ზარები და შეკითხვებია. ზოგჯერ მაყურებლები შეურაცხყოფას აყენებენ ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლებს, რა დროსაც ირინა ყურუა მათ კორექტულობისკენ მოუწოდებს.